# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


შაბათი, 17 თებერვალი. 2018 წ. №35 (8436), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


## NATO ნატო გააგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას ალიანსის წევრობისთვის!



**— განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა.** მან ჟურნალისტების კითხვას, განიხილება თუ არა საქართველოს ნატოში გაწევრიანება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მეხუთე მუხლის ამოქმედების გარეშე: **„ჩვენ ძლიერ მხარდაჭერას ვუცხადებთ საქართველოს, როგორც პოლიტიკურ, ისე პრაქტიკულ ნაწილში. ჩვენ გვაქვს ერთობლივი სასწავლო ცენტრი საქართველოში და ჩვენ სხვა მიმართულებითაც განვაგრძობთ მხარდაჭრას. ჩვენ შევაქეთ საქართველო ნატოს წევრობის გზაზე მიღწეული პროგრესისთვის, ასევე, რეფორმების იმპლემენტაციისთვის. საბოლოოდ კი 29 წევრი სახელმწიფო გადაწყვეტს, როდის იქნება საქართველო მზად, რომ შემოუერთდეს ალიანსს.**

**წევრობა მოიცავს მეხუთე მუხლს და ეს მთავარია ალიანსისთვის. ჩვენ ვეფუძნებით მიდგომას,რომ დავიცავთ ერთმანეთს, ყველა ერთისთვის და ერთი ყველასათვის, მაგრამ საქართველოც კი, არაწევრი ქვეყანა ახლა ჩვენი ძალიან ახლო პარტნიორია, საქართველოში ნატო უკვე ძალიან ძლიერად არის წარმოდგენილი და ჩვენ ასევე, მივესალმებით საქართველოს სხვა ბევრ კონტრიბუციას, არა მხოლოდ ავღანეთში. ჩვენ ვხედავთ რუსეთს, რომელიც იყენებს სამხედრო ძალას მეზობლების წინააღმდეგ, უკრაინაში. ასევე, ყავს სამხედროები საქართველოში, მოლდოვაში. ამიტომაც, ჩვენ ვახდენთ რეაგირებას პროპორციული გზით, რომ აღმოვფხვრათ ახალი ცივი ომი. ჩვენ განვაგრძობთ მუშაობას რუსეთთან დიალოგისთვის“,** — განაცხადა სტოლტენბერგმა

## პირველად ისტორიაში – საქართველოსადმი მიძღვნილი ღონისძიება



**„აღსანიშნავია, რომ მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის თანაორგანიზებით, პირველად ისტორიაში გაიმართება საქართველოსადმი მიძღვნილი ღონისძიება. ეს ღონისძიება მიეძღვნება უსაფრთხოების კონტექსტში საქართველოს როლს ევროპულ პოლიტიკაში და ჩვენს პროგრესს ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე. ასევე ღონისძიების ფარგლებში ჩვენ გვექნება შესაძლებლობა, ვისაუბროთ საქართველოს, როგორც ევროპული კულტურის ნაწილზე, წარვუდგინოთ საქართველო გერმანულ საზოგადოებას და მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის მონაწილეებს როგორც ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმარი. ეს არის უნიკალური შესაძლებლობა ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციის, ჩვენი როლის და კულტურული კავშირების წარმოჩენისთვის“,** — ამის შესახებ საქართველოს ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ მიუნხენის საერთაშორისო კონფერენციაში საქართველოს დელეგაციის მონაწილეობის კომენტირებისას განაცხადა.

## ჩვენი მოსახლეობის გადაბირება მხოლოდ ქმედით ახალ ძალას შეუძლია ③



## სად და როგორ ამზადებენ ექიმებს საქართველოში? ⑤



## ვალერი ასათიანი ⑥-⑦ საპფო საქართველოში



## ამირან გამყრელიძე: წითელა გვიტევს – არაფერი დასამალი არ არის... ეპიდაფეთქებაა ქვეყანაში...

დაავადებათა კონტროლის ცენტრი მოსახლეობას იმუნიზაციისკენ მოუწოდებს.



**„დღევანდელი მონაცემებით, 268 შემთხვევა გვაქვს საქართველოში. განსაკუთრებით ბევრი შემთხვევა ფიქსირდება აჭარაში — 65-70%, მაგრამ უკვე თბილისშიც იმატებს.**

**წითელას საწინააღმდეგო აცრა ბევრ ბავშვს სამწუხაროდ, გამოტოვებული აქვს. ძალიან დეტალური ანალიზი მიმდინარეობს ყველა საბავშვო ბაღსა თუ სკოლაში, აცრილი არიან თუ არა ბავშვები. მაგრამ ამავე დროს წითელა დიდი პროცენტით გვაქვს მოზრდილებში, განსაკუთრებით 20-დან 40 წლამდე ასაკის ადამიანებში და განსაკუთრებით ქალბატონებში.**

**ქალბატონები, რომლებიც აპირებენ შვილის გაჩენას, აუცილებელია, წითელაზე აცრილები იყვნენ. თუ დედა აცრილი არ არის, ან არა აქვს გადატანილი, როდესაც აჩენს შვილს, ახალშობილს არ გადაეცემა ეს იმუნიტეტი და დაახლოებით 17% დღევანდელი შემთხვევებისა სწორედ 1 წლამდე ბავშვებში გვაქვს. წითელა ორსულობის პერიოდში, ან ახალშობილში არის ძალიან სერიოზული დაავადება — ორსულობის პერიოდში ნაყოფზე სერიოზული ზემოქმედება აქვს ან 1 წლამდე ბავშვებში ძალიან დიდია ასეთი გართულებების მაჩვენებელი“,** — ამბობს ამირან გამყრელიძე.

## კომისიამ ფაროსანასთან ბრძოლის გეგმა დაამტკიცა

**სამთავრობო კომისიის სხდომაზე „ქვეყანაში აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ იმსჯელეს. კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც სამინისტროების, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენლები, ასევე, საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეები, მეცნიერებათა ეროვნული და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების ხელმძღვანელები შედიან, ფაროსანასთან ბრძოლის 2018 წლის გეგმა დაამტკიცა.**

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა კომისიის წევრებს სამინისტროს მიერ უკვე ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა და დღეს არსებული მდგომარეობა გააცნო.

**„უკვე დაიგეგმა ღონისძიებები და სამთავრობო კომისიაში შემავალ უწყებებს შორის გადანაწილდა ფუნქციები. კომისია მთელი წლის განმავლობაში იმუშავებს და მონიტორინგს გაუწევს იმ სტრატეგიის შესრულების მიმდინარეობას, რომელიც 2018 წლისთვის აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის კუთხით არის დაგეგმილი“,** — განაცხადა მინისტრმა.

## ნარკობარიგებო, – ციხისკენ!.. დაკავებულია 13 პირი

**შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის ინფორმაციით, სამინისტრომ ბოლო ერთ კვირაში ნარკოდანაშაულისთვის 13 პირი, მათ შორის 6 ნარკორეალიზატორი დააკავა. სულ ამოღებულია 1,5 კილოგრამზე მეტი „ჰეროინი“, 81 აბი „მდმა“, 50 ფირფიტა ე.წ. „ბიო“ და სხვა ნარკოტიკული საშუალებები. სამართალდამცველებმა ირანის რესპუბლიკის ოთხი მოქალაქე თბილისში დააკავეს, მათგან 1,5 კგ ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ და დიდი ოდენობით „მეტადონი“ ამოიღეს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა ნარკოტიკული საშუალება ირანიდან საქართველოში შემოიტანეს.**

**ჩადენილი დანაშაული 8-დან 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ნარკოდანაშაულისთვის დაკავებულია 13 პირი მათ შორის — 6 ნარკორეალიზატორი, რომლებიც ნარკოტიკულ საშუალებას სისტემატურად ყიდიდნენ. მათი დანაშაულებრივი საქმიანობის გამოვლენის და დაკავების მიზნით თბილისში, ფონიჭალაში, გარდაბანსა და მარნეულში ჩატარდა სპეციალური ოპერაციები.**

# საქართველოს პრეზიდენტმა დალია გრიბაუსკაიტეს ლიტვის დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილე მიულოცა



**გიორგი მარგველაშვილმა ევროპის ქვეყნების ლიდერებისათვის ლიტვის პრეზიდენტის დალია გრიბაუსკაიტეს მიერ პრეზიდენტის სასახლეში გამართულ ოფიციალური დახვედრის ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა.**

საქართველოს პრეზიდენტმა ლიტვის რესპუბლიკის სასახლეში საპატიო სტუმართა წიგნში ჩანაწერი გააკეთა და ევროპელ ლიდერებთან არაფორმალურ გარემოში საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებებში მათი მონაწილეობის საკითხი განიხილა.

ლიტვის დამოუკიდებლობის 100 წლისთავთან დაკავშირებულ ღონისძიებებს ესწრებოდნენ უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო, ევროკომისიის პრეზიდენტი ჟან კლოდ იუნკერი, ევროპული საბჭოს პრეზიდენტი დონალდ ტუსკი, ისლანდიის პრეზიდენტი გუდნი თორლასიუსი, ლატვის პრეზიდენტი რაიმონდს ვეიონისი, პოლონეთის პრეზიდენტი ანდჟეი დუდა, გერმანიის ფედერაციის პრეზიდენტი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი, ესტონეთის პრეზიდენტი კერსტი კალიულაიდი, ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი საული ნინისტო.

# დიმიტრი ქუმსიშვილი „BP“-ის რეგიონალურ პრეზიდენტს გარი ჯონსს შეხვდა

**სამხრეთ გაზის კორიდორის მრჩეველთა საბჭოს მინისტერიალის ფარგლებში, საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი კორპორაცია „BP“-ის რეგიონალურ პრეზიდენტს გარი ჯონსს შეხვდა.**

შეხვედრაზე საუბარი წარიმართა ევროპის ბაზრისთვის კასპიის ნახშირწყალბადების მიწოდების სამხრეთის კორიდორის განვითარების მნიშვნელობაზე, რომელიც საქართველოზე გადის, აგრეთვე სამხრეთ კავკასიურ მილსადენზე, რომლითაც აზერბაიჯანიდან თურქეთში შაჰ-დენიზის საბადოდან მოპოვებული გაზის ტრანსპორტირება ხორციელდება.



შეხვედრაზე პირველმა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა დადებითად შეაფასა „BP“-ის საქმიანობა საქართველოში. ყურადღება გამახვილდა იმ პროექტების მნიშვნელობაზე, რომელთაც „BP“-ი ახორციელებს საქართველოში. აღინიშნა, რომ აღნიშნული პროექტების რეალიზება არა მხოლოდ ზრდის საქართველოს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, არამედ მნიშვნელოვანია მთლიანად რეგიონის ეკონომიკური განვითარებისა და ენერგოუსაფრთხოებისთვის.

# კახი კალაძე: საქმე, სავარაუდოდ, გამოძიებას გადაეცემა

**„მე არ ვიცი, კონკრეტული კომპანიები და კონკრეტული პიროვნებების დონეზე არ ჩავსულვარ“,** — ეს განცხადება თბილისის მერმა კახა კალაძემ სახელმწიფო აუდიტის დასკვნის შეფასებისას გააკეთა, რომელიც მერიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვასა და განკარგვას შეეხება. თბილისის მერი ვარაუდობს, რომ დასკვნაში მოყვანილ ზოგიერთ ფაქტზე გამოძიება დაიწყება. **„აქ საუბარი არის კომპლექსურ პრობლემაზე, რაც აუდიტის დასკვნაში არის წარმოდგენილი, რის ნაწილსაც ჩვენ ვეთანხმებით, რაზეც არის რეკომენდაციები აუცილებლად იქნება სამომავლოდ გათვალისწინებული და ჩვენი მიდგომებიც არის ასეთი, რაც რეკომენდაციაში არის წარმოდგენილი. სხვა მიმართულებას, რაც შეეხება, ალბათ, გამოძიებაში გადააგზავნის აუდიტის სამსახური და ეს გამოძიების საქმეა,“** — განაცხადა კალაძემ. აუდიტის მიერ დღეს გამოქვეყნებულ საბოლოო ანგარიშში აღნიშნულია, რომ ყოფილი მთავარი პროკურორის ოთარ ფარცხალაძის კომპანიას თბილისის მერიამ უკონკურენტო გარემო შეუქმნა.კალაძის თქმით, აუდიტის დასკვნაში წარმოდგენილი პრობლემების ნაწილს მერიაშიც იზიარებენ.



# მამუკა ბახტაძე: მეწარმეები, რაც შეიძლება ნაკლებ დროს უნდა ხარჯავდნენ საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობისას

საქართველოს ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე დეტალურად ისაუბრა ახალი საგადასახადო ინიციატივის ძირითად პრინციპებზე. მისი განცხადებით, ახალი ინიციატივის ფარგლებში, მცირე ბიზნესის სტატუსს მიიღებს ყველა ის მეწარმე, რომლის შემოსავალი არ აღემატება 500,000 ლარს.



**„დღეს, ეს ზღვარი არის 100,000 ლარი და ჩვენ 5-ჯერ ვზრდით ამ ზღვარს. ჩვენ ასევე 5-ჯერ ვამცირებთ გადასახადებს ჩვენი მეწარმეებისთვის და ნაცვლად დღეს არსებული 5%-იანი ზღვარიდან, ჩამოვდივართ 1%-იან ნიშნულამდე. ჩვენი მიზანია, მეწარმეები, რაც შეიძლება ნაკლებ დროს ხარჯავდნენ საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობისას და ისინი მთლიანად იყვნენ ფოკუსირებულები თავიანთ ეკონომიკურ საქმიანობაზე. ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მცირე მეწარმეები გავათავისუფლოთ ყველანაირი დამატებითი ბუღალტერიის წარმოებისგან. მცირე ბიზნესს ვალდებულება ექნება, კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში გამოიყენოს მხოლოდ საკონტროლო-სალარო აპარატი და სასაქონლო ზედნადები,“** — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

როგორც ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, დღეს არსებული პრაქტიკა გულისხმობს გადასახადების წინასწარ გადახდას ე.წ. საავანსო რეჟიმში, მისი თქმით, აღნიშნული პრაქტიკა გაუქმდება და მცირე მეწარმეები 1%-იან ბრუნვის გადასახადს თვის ბოლოს გადაიხდიან.

**„მეხუთე და ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი — მცირე მეწარმეები, რომელიც მცირე მეწარმის სტატუსის პარალელურად ჩათვლიან საჭიროდ, დარეგისტრირდნენ დღგ-ს გადამხდელებად, ისინი სტანდარტულ რეჟიმში შეძლებენ დღგ-ს ჩათვლას, ან დღგ-ს ზედმეტობის დაბრუნებას ბიუჯეტიდან 5-დან 7 დღის ვადაში,“** — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.

# არც ერთი წარმატებული ეკონომიკური რეფორმა გაბედული გადაწყვეტილების გარეშე არ მომხდარა!

**„პირობები, რომელიც მცირე ბიზნესს ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ შესთავაზა, ქმნის ახალ შესაძლებლობებს მათთვის, ვისაც უნდა საკუთარი საქმე წამოიწყოს“,** — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ განაცხადა. თალაკვაძის შეფასებით, არც ერთი წარმატებული ეკონომიკური რეფორმა გაბედული გადაწყვეტილების გარეშე არ მომხდარა.



**„შემოთავაზებული ცვლილებები, რომ მცირე მეწარმეები საერთო შემოსავლის 5%-ით აღარ დაიბეგრებიან და სიმბოლურად მხოლოდ 1%-სგადაიხდიან; მცირე ბიზნესად ჩაითვლება მეწარმე, რომლის შემოსავალი წლის განმავლობაში იქნება 500 000 ლარამდე, ნაცვლად დღემდე არსებული 100 000 ლარისა; მცირე მეწარმეებისათვის გაუქმდება მიმდინარე (ე.წ. საავანსო) გადასახდელების გადახდის ვალდებულება და მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების საფუძველი აღარ იქნება მეწარმე ფიზიკური პირის დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის ფაქტი — არის პირდაპირი გზავნილი იმ ადამიანებისთვის, ვისაც უნდა საკუთარი საქმე წამოიწყოს, საკუთარი ბიზნესი განავითაროს“,** — განაცხადა თალაკვაძემ.

# „იცით, რომ ეს 50 მილიონი სინამდვილეში 39 მილიონია?“

**სინამდვილეში 50 მილიონი არის 39 მილიონი — ეს განცხადება საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა ვასილ მაღლაფერიძემ „მაუწყებლობის შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით პარლამენტში მიმდინარე შეხვედრისას გააკეთა.** მაღლაფერიძის თქმით, 50 მილიონი არის მითოლოგიური რიცხვი:



**„როდესაც ამბობთ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ხარჯავს 50 მილიონს, ეს 50 მილიონი არ არის და 2017 წელს საზოგადოებრივი მაუწყებელი ხარჯავდა 39 მილიონს. ანუ, 50 მილიონი არის მითოლოგიური რიცხვი. როდესაც ვამბობთ საზოგადოებრივ მაუწყებელს, არის 2 საზოგადოებრივი მაუწყებელი...**

**მედიასაშუალებებიდან ყველაზე გამჭვირვალე მედიაორგანიზაცია არის საზოგადოებრივი მაუწყებელი. ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ ვინმე კარგია, არამედ ასეა კანონით დადგენილი. თითოეული ჩვენი ლარი და თეთრი არის მთლიანად გაკონტროლებული და სამსჯავროზე გამოტანილი. მე დღესაც კი მივაწოდე რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციას ჩემი ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია. დღეს ყველა მედიასაშუალება თავისუფალია მთლიანად შესყიდვების კანონიდან. ის ყიდულობს ისე, როგორც მას უნდა. მოუნდებათ, იყიდოს ტელეფონი, იყიდიან ტელეფონს, თუ მათ მოუნდებათ, იყიდონ გადაცემა, იყიდიან გადაცემას“,** — განაცხადა ვასილ მაღლაფერიძემ.

# „თქვენ ეთიკას მიხედეთ... დატოვეთ დარბაზი!“



**პარლამენტში „მაუწყებლობის შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით მედიაორგანიზაციებთან მიმდინარე შეხვედრაზე დაპირისპირება მოხდა. ერთმანეთს პარლამენტის თავმჯდომარე და ტელეკომპანია „კავკასიის“ დირექტორი ნინო ჯანგირაშვილი დაუპირისპირდნენ.**

ჯანგირაშვილმა დარბაზი დატოვა და კობახიძეს განუცხადა, რომ პარლამენტის თავმჯდომარე „დღეს იქცევა დესტრუქციულად, ის არის მხარე და კანონის ლობისტი“. საპასუხოდ კობახიძემ ჯანგირაშვილს დარბაზის დატოვება მოსთხოვა და განაცხადა, რომ მან დღეს არგუმენტირებული შენიშვნები ვერ წარმოადგინა. **შეგახსენებთ, რომ მედიაორგანიზაციებს „მაუწყებლობის შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით კრიტიკული შენიშვნები აქვთ და უმრავლესობას მოუწოდებენ, პრეზიდენტის ვეტო გაიზიარონ და მომზადებული ცვლილებები არ მიიღონ.**

# გვექნება 14 წლამდე მოზარდთა მართლმსაჯულების კოდექსი

საქართველოში 2016 წლის პირველი იანვრიდან მოქმედებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, თუმცა ის მხოლოდ 14 წლიდან მოქმედებს, ბოლო პერიოდში 14 წლამდე მოზარდების მიერ ჩადენილი გახშირებული დანაშაულების გამო, პარლამენტი ბავშვთა კოდექსის ფარგლებში განსახორციელებელ რეფორმაზე მუშაობს. როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ სოფო კილაძემ განაცხადა, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია მნიშვნელოვანია.

**„ჩვენთვის მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია, ამიტომ ვმუშაობთ ადამიანის უფლებათა კომიტეტში, რა შეიძლება გაკეთდეს ბავშვის კოდექსის ფარგლებში, რათა ასეთი შემთხვევები ავიცილოთ თავიდან. იქნება ეს პრევენციული ღონისძიებები, იქნება ეს ისეთი შემთხვევები, როდესაც უკვე მოხდა შემთხვევა და ბავშვმა ჩაიდინა დევიაციური ქმედება, რა უნდა ვქნათ ამის შემდეგ, ოჯახმა, სახელმწიფომ, რომ უნდა მოხდეს ინფორმაციის მიწოდება ოჯახისთვის, რათა არ მოხვდნენ ბავშვები არასწორ რელსებზე. მნიშვნელოვანია, რომ ბალანსი დავიცვათ, ერთი მხრივ, ადამიანის უფლებების კუთხით და მეორე, სახელმწიფო, საზოგადოების ინტერესის მიმართულებით. ადამიანის უფლებების კუთხით ბავშვების უფლება არის ძალიან მნიშვნელოვანი.  ვერ გავიზიარებ იმას, რომ მათ სანქციები დავაკისროთ 14 წლამდე, მაგრამ პრევენცია მნიშვნელოვანია“,** — განაცხადა სოფო კილაძემ.

# ჩვენი მოსახლეობის გადაბირება მხოლოდ ქმედით ახალ ძალას შეუძლია



**მმართველი გუნდისთვის განსაკუთრებული ღირებულება არა აქვს სააკაშვილის შეგონებას საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ოპოზიციის ნაწილის გაერთიანებისა და პრაიმერიზის ჩატარების თაობაზე. სამაგიეროდ, „ნაციონალები“ და მათი მომხრეები დაფაცურდნენ.** მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილმა ოპოზიციის დახარისხებაც არ დაივიწყა და ოლიგარქის წინააღმდეგ საერთო ოპოზიციურ შეთქმულთა შორის გამორიცხა „ივანიშვილის ფულით მოსყიდული“ ყოფილი „ნაციონალები“ და „რუსეთუმე პატრიოტთა ალიანსი“, მის მომხრეებს იმედი გაუჩნდათ.

„ნაციონალი“ **ზაზა ბიბილაშვილი** მიიჩნევს, რომ **ივანიშვილის დამარცხების ერთადერთი გზა ფართო ოპოზიციური კოალიციის შექმნაა მხოლოდ პროდასავლურ ძალებს შორის და, „თუ ვინმე ფიქრობს, რომ ივანიშვილის რეჟიმისგან გათავისუფლებას მარტო შეძლებს, ყველას თავის გზაზე გაუმარჯოს“.**

სააკაშვილის ნათქვამმა არც **ნუგზარ წიკლაური** დატოვა გულგრილი და მანაც დაასკვნა, რომ **ოპოზიციურ ძალთა ერთობა ოლიგარქის წინააღმდეგ საუკეთესო გზაა.** სამაგიეროდ, „ევროპული საქართველოს“ პრიზმაში მოვლენები სხვაგვარად დაინახა გიგა ბოკერიამ. მან განმარტა, რომ **სააკაშვილის ინტერვიუ იყო დეგრადირებული ლიდერის ურთიერთგამომრიცხავი აზრების ფრქვევა და ეს გაერთიანება ვერ მოხდება უშუალოდ სააკაშვილის გარშემო, თორემ პროდასავლურ ოპოზიციურ ძალებს შორის უნდა იყოს თანამშრომლობა კონკრეტულ საარჩევნო ამოცანათა გადასაჭრელად.**

**„ერთი მხრივ, სააკაშვილი მოუწოდებდა ოპოზიციას, საპრეზიდენტო არჩევნებისთვის პრაიმერიზით გაერთიანებისკენ, მეორე მხრივ, არჩევნებს აზრი არ აქვსო, რადგან არჩევნებით ივანიშვილს ვერ დაამარცხებო. ეს გზავნილი ივანიშვილს აწყობს, ამით აღვივებს უიმედობას ამომრჩეველში“,** — ფიქრობს **გიგა ბოკერია,** რომელიც პროდასავლურ ძალებთან თანამშრომლობას განიხილავს, ოღონდ პარტია არ უნდა იყოს პუტინის მოკავშირე.

რა პერსპექტივა აქვს სააკაშვილის ინიციატივას ოპოზიციურ ძალთა გაერთიანებისა და პრაიმერიზის ჩატარების თაობაზე?!

ანალიტიკოსი **ვაჟა ბერიძე** For.ge-სთან საუბარში აცხადებს: **ჰიპოთეტურად რომც წარმოვიდგინოთ, რომ გაერთიანდა ყველა ძალა, „პატრიოტთა ალიანსიდან“ დაწყებული (მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილი მათ არ ცნობს), „ნაციონალებით“, „რესპუბლიკელებით“ და მარგველაშვილით დაგვირგვინებული, ეს გაერთიანებაც კი სააკაშვილს არ მიიღებს ლიდერად. ეს გამორიცხულია. ხოლო, თუ ამ გაერთიანებას მოვაშორებთ „პატრიოტთა ალიანსს“, რომელთანაც მიშა არ ითანამშრომლებს, მაინც არ მოხდება ისეთი გაერთიანება, რომელიც სააკაშვილს ლიდერად აირჩევს სიტუაციის ნებისმიერი განვითარებისა და წამყვანი საერთაშორისო მოთამაშეებისგან მხარდაჭერის შემთხვევაშიც კი.**

**რაც შეეხება ზოგადად, საპრეზიდენო არჩევნებისთვის ოპოზიციურ ძალთა გაერთიანებას, ვაჟა ბერიძე მიიჩნევს, რომ გარკვეული მოძრაობა ძალების გასაერთიანებლად გამორიცხული არ არის. უბრალოდ, ეს უშედეგო იქნება, რადგან ქართველი საზოგადოება ამ გაერთიანების წარმომადგენლის მხარდასაჭერად მზად არ არის.** მოსახლეობის 40-50% ინდიფერენტულადაა განწყობილი ნებისმიერი არჩევნებისა და პერსპექტივის მიმართ და მათი გადაბირება მხოლოდ ქმედით ახალ ძალას შეუძლია, სადაც ახალგაზრდები და უფროსი თაობა გააერთიანებს თავის ძალისხმევას.

**„სიტუაცია მზად არის ახალი, პერსპექტიული, რეალისტური პოლიტიკური ძალის ჩამოსაყალიბებლად, თუმცა ფინანსების გარეშე ამის პერსპექტივას ვერ ვხედავ. თანხების გარეშე პოლიტიკა შარლატანების არენაა. ამიტომ ისევ მთავარ ძალად დარჩება „ქართული ოცნება“ და მისი კანდიდატი, რომელსაც ნებისმიერ მომავალ არჩევნებში უპირატესი შესაძლებლობები ექნება. ამას ოპონირებას ვერც „ნაცმოძრაობის“ მიერ ჩამოყალიბებული ალიანსი გაუწევს და ვერც „პატრიოტთა ალიანსი“. სხვათა შორის, „პატრიოტთა ალიანსს“ ჰქონდა ხმების დაახლოებით 30-40%-ის მობილიზების საშუალება, მაგრამ, ფაქტობრივად, მათ პარტიული მშენებლობა შეაჩერეს, ამიტომ ეს შესაძლებლობა ახლა უკვე ხელიდანაა გაშვებული“,** — აღნიშნა ვაჟა ბერიძემ.

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ თავად „ნაცმოძრაობის“ წევრებიც არ არიან მზად, სააკაშვილი ოპოზიციის ლიდერად იხილონ. უბრალოდ, ეს ყველაფერი ცარიელი ლაპარაკია, რომლის უკან საქმე არ დგას.

**„სააკაშვილი, ვერავითარ შემთხვევაში, ვერ გახდება პოლიტიკური ლიდერი, ეს გამორიცხულია, რადგან მისი დრო წასულია. დღეს სხვანაირია პოლიტიკური სივრცე საქართველოში. მით უმეტეს, ყოველთვის ავადმყოფური ელფერი იქმნება სააკაშვილის ირგვლივ. გიგი უგულავამ სწორად თქვა, არავითარი პრაიმერიზი. ეს უაზრობაა, რადგან რეალურად, ამ პრაიმერიზში მონაწილეობას მიიღებენ ისევ და ისევ მხოლოდ „ნაციონალების“ მხარდამჭერები. პრაიმერიზი რომც ჩაატარონ, რასაკვირველია, მე მათ პლებისციტში მონაწილეობას არ მივიღებ და სულ არ მაინტერესებს, მათი ლიდერი ვინ იქნება. მოსახლეობის დიდი უმრავლესობაც ასეა. რა აზრი აქვს ასეთ პრაიმერიზს, არ ვიცი. თავის მომხრეებში კიდევ ყველაზე მეტი მომხრე ისევ „ნაცმოძრაობას“ ჰყავს. ისედაც ცხადი იქნება პრაიმერიზის შედეგი და რაღა საჭიროა ამ პროცესის დაწყება?!“** — მიიჩნევს დავით ზარდიაშვილი, რომლის აზრითაც, ეს არის ხმაური არაფრის გამო, რათა სააკაშვილმა ყურადღება კიდევ ერთხელ მიიპყროს.

**მანანა ნოზაძე**

◉ რეგიონების რეაბილიტაცია

# წალკაში 1100 ჰექტარზე სარწყავი სისტემა აღდგება

**წლეულს წალკის რაიონის სოფელ ავრანლოსკენ იგეგმება ბეტონის საფარის მოწყობა. საავტომობილო გზის მოწესრიგება სოფლის მოსახლეობას გაუადვილებს მიმოსვლას, სხვა სოფლებთან დაკავშირებას. წალკის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთ პრიორიტეტს გზების მოწყობა წარმოადგენს, წინა წლებში განხორციელდა ქალაქ წალკაში შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტის ფარგლებში 1400-მეტრიანი გზის მონაკვეთებზე ასფალტის საფარი დაიგო, რომელიც მოიცავს ეკლესიის, ლიბერთი ბანკისა და ქუჩების მიმდებარე ტერიტორიებს. ეს ინფრასტრუქტურული პროექტი ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსდა.**

სოფელ ავრანლოს მოსახლეობისთვის მოეწყობა სკვერი, სადაც სოფლის მრავალეროვნული მოსახლეობა შეძლებს დასვენებას, ასევე მოეწყობა გარე განათება, რისთვისაც საშუალოდ 27 000 ლარი დაიხარჯება. გათვალისწინებულია სოფლის დასუფთავება, ესთეტიკურად მიმზიდველი გარემოს შექმნა, გამწვანება. ასევე იგეგმება შიდა გზების მოხრეშვის სამუშაოები.

* * *

**წალკის მუნიციპალიტეტში ავრანლო-გუმბათის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციაც მიმდინარეობს. პროექტის ავტორია სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შპს „საქართველოს მელიორაცია“.**

პროექტის ფარგლებში რეაბილიტაცია უტარდება მაგისტრალურ და პირველი რიგის გამანაწილებელ არხებს. 10 კილომეტრი სიგრძის მაგისტრალური არხი მოპირკეთდება ბეტონით; აღდგება სათავე ნაგებობისა და წყალაღების კვანძი; მაგისტრალური არხის საპროექტო კვეთი; არსებული წყალგამყოფი და წყალგამტარი ნაგებობები;

საკარმიდამო ნაკვეთებში მოეწყობა გამანაწილებელი ქსელი. მიმდინარე სამუშაოები შპს „საქართველოს მელიორაციის“ ქვემო ქართლის რეგიონული სამსახურის უფროსმა დავით კიკოლაშვილმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა სარეაბილიტაციო სამუშაოები, რის შედეგად მუნიციპალიტეტის 5 სოფლის 1100 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი გასარწყავდება. პროექტის ღირებულება 1 754 998 ლარია. ძირითადი სამუშაოები 2017 წლის ბოლოს დასრულდა.

**ნაზი მეშველიანი**
**წალკიდან**




# ქართული შეიარაღების ექსპორტის თაობაზე მუშაობა მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანასთან მიმდინარეობს

**2017 წლის განმავლობაში „დელტა“ არსებული კონტრაქტების შესრულებას ახორციელებდა, 2018 წლის მდგომარეობით კი ქართული შეიარაღების ექსპორტის თაობაზე მუშაობა მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანასთან მიმდინარეობს,** — ამის შესახებ ინფორმაციას თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

„დელტას“ გენერალურმა დირექტორმა უჩა ძოძუაშვილმა ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში გადაცემა „საქმის კურსში“ გასული 2017 წელი შეაჯამა და სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა.



**„გასული 2017 წლის განმავლობაში „დელტა“ აქტიურად მუშაობდა კლიენტების მოთხოვნაზე მორგებული სერიული პროდუქტის წარმოებასა და დახვეწაზე. ასევე დაინტერესებულ ქვეყნებთან შეთანხმებითა და მათი მოთხოვნების გათვალისწინებით გადაიდგა ნაბიჯები ახალი პროდუქციის შექმნისკენ. შედეგად, 2018 წელს ცენტრი კვლავ შეძლებს გააგრძელოს მუშაობა საერთაშორისო კონტრაქტებზე“.**

**„დელტას შესაბამისი გუნდი მსოფლიოს ყველა კონტინენტზე მუდმივ რეჟიმში მუშაობს პოტენციურ მყიდველებთან. ამ ეტაპზე გვყავს წარმომადგენლობა მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაში, ისინი აქტიურად მუშაობენ ადგილობრივ შემსყიდველებთან, რათა მოახდინონ ჩვენი პროდუქციის ექსპორტი.“**

**„დელტა აქტიურად მუშაობს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების განვითარებაზე, ამავდროულად, მივდივართ ჯავშანტექნიკის მიმართულებით, სადაც განსაკუთრებულ ფოკუსს ვაკეთებთ მოდულურ და მულტიფუნქციურ ჯავშანტექნიკაზე, ასევე ვმუშაობთ საარტილერიო სისტემების, ტანკსაწინააღმდეგო სისტემებისა და პირადი შეიარაღების მიმართულებებითაც.“**

ასევე, შესაბამისი მუშაობა მიმდინარეობს არსებული კადრების შენარჩუნების, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და ახალი კადრების მოზიდვის მიზნითაც. ამისათვის „დელტაში“ ფუნქციონირებს შესაბამისი სასწავლო ცენტრი“.

* * *

**...რამდენიმე ქვეყნიდან დიდი დაინტერესებაა სეტყვის საწინააღმდეგო სისტემასთან დაკავშირებითაც, ამ მიმართულებით რამდენიმე ქვეყანასთან მიმდინარეობს აქტიური მუშაობა. სისტემა დიდ დაინტერესებას იწვევს განსაკუთრებით სეტყვასაშიში პროცესებით რისკიან ქვეყნებში და უკვე იგეგმება სამუშაო ჯგუფის გამგზავრება სამ სხვადასხვა ქვეყანაში ტექნიკური სამუშაოების შესრულების მიზნით.**

კახეთში დამონტაჟებულმა სისტემამ 2015, 2016 და 2017 წლების სეზონზე არსებული შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინა. გასული წლების არსებული სტატისტიკის გაანალიზება გვაჩვენებს, რომ „დელტას“ ავტომატიზებული სეტყვასაწინააღმდეგო სისტემის მუშაობის შედეგად სეტყვისგან მოსალოდნელი ზარალი რამდენჯერმე მცირდება.

**„დელტას მიერ შემუშავებული სეტყვასაწინააღმდეგო სისტემა უზრუნველყოფს 96-97-პროცენტიან ეფექტურობას, დარჩენილი 3-4 პროცენტი ყველაზე უფრო მტკივნეულად ამახსოვრდება საქართველოს მოსახლეობას, რაც აბსოლუტურად ბუნებრივია. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს დიდი რაოდენობით განეიტრალებული სეტყვასაშიში პროცესები და თავიდან აცილებული მნიშვნელოვანი ზარალი, რამაც გამოიწვია იმ ქვეყნების დაინტერესება, რომლებიც იყენებენ ძველ სისტემებს, რომელთა რეაგირების დრო საშუალოდ 7-15 წუთია, მაშინ როდესაც ჩვენს სისტემას გადაწყვეტილების მიღებიდან პირველი გასროლის განხორციელებამდე საშუალოდ 15-20 წამი ჰყოფნის“,** — აღნიშნა უჩა ძოძუაშვილმა.



# დუქნებით აშენებული ქვეყანა არ გაიშვას!

**სამიოდე დღის წინათ გერმანიიდან სტუმრად მეწვია ღვიძლი დეიდაშვილის უმცროსი ვაჟი.**

ის იქ, გერმანიაში, მასზე ადრე წასულ ქართველ ქალიშვილზე დაქორწინდა.

სასწაულებს რა გამოლევს.

— დაუბრუნდი ხომ საკუთარ ქვეყანას, — გახარებული გადავეხვიე.

— დროებით, რაღაც საბუთები მაქვს მოსაგვარებელი.

— მერე ხომ ჩამოხვალ, — იხტიბარი არ გავიტეხე, — ცოლ-შვილით, მოხუც მშობლებსაც ხომ სჭირდება პატრონობა?

— აქ რა მინდა, — ეგრევე მთხლიშა პირკატა. გიო მესამე შვილია, რომელიც უცხოეთში გადაიხვეწა. არადა, თბილისში, ერთ-ერთ გამორჩეულ უბანში, კერძო სახლი აქვთ. სასახლე არა, მაგრამ სასიამოვნო საცხოვრისი, მეზობლებკეთილი. შემაღლებულზე ჰაერიც განსაკუთრებული, არც გამონაბოლქვი აწუხებს და არც ხმაური.

ოღონდ, სამსახური ვერ იშოვა, სკოლა წლების წინათ დაამთავრა, სად არ იწოწიალა, მაგრამ ვერას გახდა.

მის თვალწინ ასე გადაიკარგნენ მისი უფროსი და-ძმა, ერთს, იქ გერმანელი ცოლი ჰყავს, მეორე არგენტინელზე, ოღონდ გერმანიაში გათხოვილა. ახლა გვარს არ იკითხავთ, დიახაც ქართველიშვილნი, თანაც გურულ-მეგრულ-იმერულ-ქართლ-კახურ სისხლნაზავნი, თანაც ძირძველი, თბილისელნი.

ეს ხომ არახალიაო, მეტყვიან, ასე წაგვართვა უცხოეთმა კიდევ ერთი შვილი. ჩვენ კი...

თუმცა, გერმანიამ კი არა, ამ ხელისუფლებამ წაგვართვა, ხელისუფლებამ, რომელიც გუშინწინ, გუშინ მართავდა ქვეყანას და დღესაც რომ ხელისუფალი ჰქვია.

არადა, საქართველო მზისა და მთვარის ქვეყანა, თავისი სიმდიდრით — წყლებით, მდინარეებით, მთებითა და ვაკეებით ბუნებრივი წიაღისეულით მდიდარი, უხვი და ბარაქიანი. ლამის მთელი წელიწადი გაზაფხულ-ზაფხულ-შემოდგომიანი, ზამთარსანატრელი ქვეყანა, ცივ და სუსხიან გერმანიას რატომ უნდა ამჯობინოს ქართველმა ახალგაზრდამ, რატომ?

სანაცვლოდ მოდიან ინდო-არაბნი, მავანნი და მავანნი, შავტუხნი, ჩალმიანნი თუ უჩალმონნი, შორეულნი თუ მეზობელ მახლობელნი, იშენებენ სახლ-სასახლეებს, ჩემი გმირი წინაპრის სისხლით მორწყულ მიწას ეუფლებიან, ეპატრონებიან, იმ ჯიშ-ჯილაგის ფესვებს, საუკუნეები რომ ვებრძოდით და ახლა მოყვრის ნიღბით რომ გვეპარება.

ჰოდა, იმათთვის თუ ასე სასურველია, ჩემი „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტი“ ქვეყანა, ჩვენმა ახალგაზრდობამ რატომ მოიძულა იგი?!

ჩემი თაობა, მანამდელიც, მომდევნოებიც, იმ კომუნისტური რეჟიმის სკოლებში ვიზრდებოდით, მაგრამ სამშობლოს სიყვარულს, შინ და სკოლაშიაც ისე გვინერგავდნენ, ქვეყნიდან, თუნდაც ყოფილ საბჭოთა კავშირის რომელიმე ქალაქში შევყოვნდებოდით, შეგვაგვიანდებოდა, მონატრებით სული გვეცლებოდა.

დღეს რა ხდება? რას უქადაგებენ ოჯახში, რას ასწავლიან სკოლაში, წამოიჩიტებიან თუ არა, ეგრევე გაქცევაზე რომ უჭირავთ თვალი?

თუმცა, ხელისუფალნიც სცოდავენ და მერე როგორ?

აი, თუნდაც რუსთავი ავიღოთ.

რუსთავში, ყოველწლიურად სკოლას 4 ათასი მოსწავლე ამთავრებს.

უკვე წლებია, რუსთავში სამუშაოს დეფიციტია. რუსთავი, იმ სულმნათმა კაცმა, უცხოელ მწყემსებზე ორასი წლით იჯარით საძოვრად გაცემულ უდაბნოზე ქალაქი რომ აგვიშენა, ათასობით ოჯახი რომ დაგვიმკვიდრა, სადაც თუ სამრეწველო საწარმოში 90 ათასი ადამიანი მუშაობდა, დღეს თითქმის უმუშევრობისაგან სულს ლაფავს.

ქვეყანას პატრონი უნდა ჰყავდეს, მე მახსოვს მართლაც პატრიოტი, გულადი წინამძღოლი ვასილ პავლეს ძე მჟავანაძე.

წელი ისე როგორ გავიდოდა, ორჯერ მაინც არ სწვეოდა რუსთავს.

დილით ჩამოსული დაივლიდა კარდაკარ ყველა საწარმოს, ქარხანას, სამშენებლო უბანს.

საღამოს შეკრებდა ქალაქის ავანჩავანის მცოდნეთ, გამოჰკითხავდა, რა სჭირდებოდათ, რა სტკიოდათ, რა აწუხებდათ.

დაგვპირდებოდა და საქმეც კეთდებოდა. იმხანად რუსთავი მთელ საბჭოთა კავშირში გამორჩეული ქალაქი იყო, აქ დამზადებული პროდუქცია ევროპის 12 ქვეყანაში იგზავნებოდა, კუბასა და ესპანეთშიც კი.

ვასილ მჟავანაძე მოსკოვს ერთს ეუბნებოდა, აქ კი ქვეყანას აშენებდა, აძლიერებდა, ბევრჯერ რისკზეც წასულა. დღეს თუ ამერიკა გვპატრონობს, მაშინ კრემლი ბევრად სახიფათო იყო, მაგრამ მისი თვალის ახვევით მჟავანაძემ სრულიად ახალი საქართველო ააშენა. უყვარდა სამშობლო და რისკზეც ხშირად მიდიოდა.

ერთხელ გარდაბნის რაიკომის პირველმა მდივანმა ალექსი ბექაურმა დამირეკა, მას დიდ ბექაურს ეძახდნენ, არაოფიციალურად ცეკას მდივნის სტატუსი ჰქონდა. რადიოთი ისეთი რა გადაეცი, მჟავანაძეს მოუსმენია და ჩვენთან ჩამოდის, შენც მოდიო, მიმიწვია.

თურმე ბატონ ვასილს დილაობით პირის პარსვისას რადიოს მოსმენა ჰყვარებია. რადიოს კი ჰქონდა პროგრამა „სოფლის დილა“, ამჯერად, ჩემი რეპორტაჟი გარდაბნის რაიონს შეეხებოდა. აი, ასეთი ყურადღებიანი კაცი იყო ჩვენი ქვეყნის მეთაური, მასზე მრავალი სხვა კარგიც თქმულა და ხალხი დღესაც არ ივიწყებს. თუნდაც ის, რომ საქართველოს სოფლებში იმხანად ორ-ორსართულიანი სახლები შენდებოდა. გლეხიც გაძლიერდა, ქალაქებმაც სული მოითქვა.

რუსთავი თავისთავად, ვასილ მჟავანაძის ხელმძღვანელობის წლებში აშენდა ლითონკონსტრუქციებისა და ელექტროსამაგრების ქარხნები, საშენ მასალათა და სახლმშენებელი კომბინატები და კიდევ რამდენიმე საწარმო, ხოლო ქალთა დასასაქმებლად უნიკალური ქიმიური ბოჭკოს ქარხანა, სადაც 5 ათასი ადამიანი დასაქმდა. ჩვენდა სავალალოდ, დღეს იქ მხოლოდ ბეტონის ნამსხვრევებია, არადა, საამქროს 40 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი ეკავა, მომსახურე პერსონალის 75 პროცენტი ქალები იყვნენ. სწორედ ეს საწარმო ერთ-ერთი პირველი დაიშალა და დაიქცა სააკაშვილის ხელით, რასაც წინ უძღოდა ედუარდ შევარდნაძის არაოფიციალური განკარგულება, დირექტორებმა თქვენ თვითონ მიხედეთ თქვენ-თქვენს ქარხნებსო და დაიწყო კიდეც მრეწველობის ნგრევა. არადა, სახელმწიფოს უნდა ეზრუნა ეკონომიკის გასაძლიერებლად.

რუსთავი მხოლოდ და მხოლოდ სამრეწველო ქალაქად აშენდა. სხვა საარსებო საშუალება მას არა აქვს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია მისთვის უცხო ხილია, ამიტომ სჭირდება მას პატრონად სახელმწიფო, სამაგიეროდ, აქ სხვადასხვა სახის უნიკალური პროდუქცია მზადდება. რა ღირს თუნდაც საჭაბურღილე მილები, ყოფილ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი საუკეთესო.

თვით ის ინფრასტრუქტურები, პირწმინდად განადგურებული, ნაწილობრივ დაშლილი საწარმოების ადგილებზე დღესაც რომ შემორჩა, საშუალებას იძლევა ახალი ობიექტების, დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისი საწარმოების აშენებისა, რაც ბევრად გაამარტივებს მათ ამოქმედებას — ესაა ელექტროგაყვანილობები, წყალი, ორთქლი, რკინიგზა და გზები, თუნდაც ეზო-ტერიტორიები, რაც ახალ-ახალი ბიზნესის წამოწყებას მომგებიანს და საინტერესოს გახდის.

ასე რომ, თუ გული გულობს, ქვეყნის მეთაურსაც ძალი შესწევს ქადილისა, სამშობლოსა და ერის ზრუნვა აწევს ტვირთად, რეზერვი ყოველთვის გამოიძებნება, მით უმეტეს რუსთავში, სადაც 44 სამრეწველო საწარმოს გული ასე თუ ისე ჯერ ისევ ძგერს.

ჩვენი პრემიერი, ბატონი გიორგი კვირიკაშვილი ამ ორი წლის წინათ, ერთხელ ჩამოვიდა, ისიც წინასაარჩევნოდ. ქალაქის ცენტრალურ პროსპექტზე, მავზოლეუმივით სახელდახელოდ ახუხულავებულ ტრიბუნაზე აბრძანდა, ნახევარსაათიანი მოხსენება ჩაიკითხა და ეგრევე დაგვემშვიდობა.

უფრო ადრე მიხეილ სააკაშვილი ორჯერ ჩამოვიდა, სირაქლემასავით ჩამოურბინა წამყვან ქარხნებს.

აუჰ, რამდენი ჯართი გვქონიაო, სიხარულისგან თმები აექოჩრა და აყვავდნენ მეჯართეებიც.

მოკლედ, რუსთავს ღმერთი არ სწყალობს, თუმცა ღმერთს რას ვერჩით, ხელისუფლება უნდა ზრუნავდეს თავის ქვეყანაზე, ხალხზე, როცა სახელმწიფო პატრონობდა სრულიად საქართველოს, ეკონომიურად ძლიერი იყო.

მაშინ საქართველოდან მოსახლეობის რაღაც ხუთი პროცენტი გადიოდა.

დღეს დემოგრაფიული ტრაგედიაა ქვეყანაში. სიკვდილიანობა სჭარბობს შობადობას.

ქვეყნიდან მილიონნახევარი ადამიანია გასული.

მათ დაბრუნებაზე არავინ ზრუნავს, აკი ისევ გარბიან და გარბიან.

...მაინც იმედი მაქვს, რომ რუსთავის ახალი მერის ირაკლი ტაბაღუას, მაჟორიტარი დეპუტატების პაატა მხეიძის, გიორგი ბრეგაძის მონდომებით,ქვეყნის ხელისუფლების ქმედითი თანადგომით რუსთავი კვლავ იქცევა საქართველოს ინდუსტრიულ ბურჯად. ათვლა უკვე აქედან, 2018 წლიდან დაიწყება!..

**გივი ჯახუა,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი**
**„სრ“ საკ. კორ.**

P.S. **ჰო, მართლა, დუქნები კი შენდება! დიდმა ვაჟამ რომ ბრძანა: „ქვეყანა იქცა დუქნადაო“, საქმე, სწორედ იქით მიდის. მერე ბავშვებიც დაიგეშნენ, თუ დაგეშეს, შედიან და ფულს იპარავენ.**

**დუქნებით აშენებული ქვეყანა არ გაიშვას!**

**ისე კი, პრემიერიც ადამიანია, ოღონდ მარტო პირად შეურაცხყოფაზე კი არ უნდა გაფიცხდეს! გაუბრაზდეს ჩამორჩენილ ეკონომიკას, უმუშევრობას, უიმედობას.**

**ტყვიის არ გვშინებია, ოღონდ სამშობლო გადაგვერჩინა.**

**ამ ბრძოლებში მიილია ჩემი და ჩემი თაობის საუკუნე.**

**სამშობლო კი ისევ ჭაობში ტივტივებს.**

**გ. ჯ.**

## პატივი მიაგეს ავღანეთში დაღუპულთა ხსოვნას

**„ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის“ ორგანიზებით არმიჰოლში 1979-89 წლებში ავღანეთში დაღუპული 128 ქართველი სამხედროს ხსოვნის საღამო გაიმართა. ინფორმაციას თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.**



გასული საუკუნის 80-იან წლებში ავღანეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს 128 ქართველი დაიღუპა, 6 კი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

ღონისძიების დაწყებამდე სტუმრებმა გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურეების ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს, ხოლო სამშვიდობო მისიებში მყოფ სამხედრო მოსამსახურეებს ქვეყნისთვის გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადეს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არმიჰოლში ღონისძიებას ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენლები, თავდაცვის მინისტრის მოადგილე, გენერალური შტაბის ხელმძღვანელი პირები, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრები და სხვა დეპუტატები დაესწრნენ.

ხსოვნის საღამოზე ქართული ესტრადის წარმომადგენლებმა ცნობილი მუსიკალური ნომრები შეასრულეს. სპეციალური მუსიკალური ნომრით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ორკესტრიც გამოვიდა.




## ქართული ოცეული ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკიდან დაბრუნდა

**საქართველოს შეიარაღებული ძალების II ქვეითი ბრიგადის 21-ე ბატალიონის ნაკრები ოცეული ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკიდან გამთენიისას დაბრუნდა. სამხედრო მოსამსახურეებს ალექსეევკის სამხედრო აეროდრომზე საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის პირველი მოადგილე, პოლკოვნიკი ნიკოლოზ ჯანჯღავა და II ქვეითი ბრიგადის მეთაური, ვიცე-პოლკოვნიკი კობა გრიგოლია დახვდნენ. მათ მშვიდობისმყოფელებს მისიის წარმატებით შესრულებისთვის მადლობა გადაუხადეს და სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება მიულოცეს.**

საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების დასავლეთ სარდლობის II ქვეითი ბრიგადის 21-ე ბატალიონის ნაკრები ოცეული ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე სამხედრო-საწვრთნელ მისიაში EUTM RCA 6 თვის განმავლობაში ფრანგული სარდლობის დაქვემდებარებაში მონაწილეობდა. ქართული კონტინგენტი დედაქალაქ ბანგიში ბაზა „უკატექსზე“ იყო განთავსებული. მშვიდობისმყოფელების მთავარ ამოცანას ბაზის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მოტორიზებული პატრული, კონვოირება და გაცილება წარმოადგენდა.

II ქვეითი ბრიგადის 21-ე ბატალიონის ოცეული ეროვნული გვარდიის ნაკრებმა ოცეულმა ჩაანაცვლა.

განუკითხაობა

# საქალაქთაშორისო ტრანსპორტის რეგულაციაზეც ალაპარაკდნენ

**ტაქსების შემდეგ რეგულირებას შესაძლოა, საქალაქთაშორისო მარშრუტებზე მოძრავი მიკროავტობუსები დაექვემდებაროს. ტრანსპორტის სფეროს სპეციალისტები ადასტურებენ, რომ ამ კუთხით ქვეყანაში დიდი განუკითხაობაა.**

თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის **მამუკა მუმლაძის** განცხადებით, ამ კუთხით ქვეყანაში ქაოსია.

„წლების წინათ საქალაქთაშორისო მარშრუტებზე მხოლოდ ავტობუსები დადიოდნენ. შემდეგ უკვე მიკროავტობუსებზე მოხდა გადასვლა, რის შედეგადაც თბილისში რაიონებიდან დღის



განმავლობაში 1 800-მდე რეისი მივიღეთ. ეს კი დიდ ქაოსს ქმნის და ვგეგმავთ მომავალში მათი მარშრუტებიც დავადგინოთ.

ამასთან, დღეს საქალაქთაშორისო მარშრუტებზე ძალიან ბევრი მინივენი მოძრაობს, რომელზეც არანაირი რეგულაცია არ ვრცელდება. შესაბამისად, ჩემი პირადი მოთხოვნა და ტრანსპორტის სამსახურის რეკომენდაცია იქნება, რომ მინივენები გარკვეულ რეგულირებას დაექვემდებაროს“, — განუცხადა „საქმეს“ მუმლაძემ.

ამ სფეროში ვითარება რომ უკონტროლო და რთულია, ადასტურებენ დარგის სპეციალისტებიც. ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის ხელმძღვნელი დავით მესხიშვილი განმარტავს, რომ მგზავრთა გადაყვანა რეგიონების მიმართულებით უმეტესად ამორტიზებული მიკროავტობუსებით ხდება, რაც ყოველდღიურად ასობით ადამიანს უქმნის საფრთხეს.

**„ყოველთვის ფასზე კეთდება აქცენტი და არავინ ფიქრობს იმაზე, რომ ტრანსპორტის უმეტესობა გაუმართავია. ჯერ უნდა ვთქვათ, რამდენად უსაფრთხო და კომფორტულია მიკროავტობუსი და შემდეგ ვისაუბროთ ფასებზე. ტრანსპორტის ტექნიკური გამართვის თვალსაზრისით განუკითხაობაა.** დედაქალაქში ეს სისტემა მსუბუქ კონტროლს მაინც ექვემდებარება, საქალაქთაშორისო საზოგადოებრივი ტრანსპორტი ჩვენს ქვეყანაში არის საშიში. არ არსებობს არც ერთი სახელმწიფო უწყება, რომელიც პასუხს აგებს დედაქალაქიდან რეგიონში მიმავალ საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ან პირიქით.

ხშირად ავტობუსები და მიკროავტობუსები ამორტიზებულია და მგზავრთა გადაყვანასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა ყველას აქვს მოხსნილი. **მძღოლები, ერთი შეხედვით, გადიან სამედიცინო შემოწმებას, მაგრამ ეს არ არის სიმართლე. დაღლილი მძღოლი საჭესთან რისკია. ზოგჯერ 3-4 რეისს ასრულებენ დღეში. ტარიფებს არეგულირებს ბაზარი, მაგრამ მოქმედებს განუკითხაობა, რასაც აუცილებლად სჭირდება ყურადღება“,** — აცხადებს მესხიშვილი და დასძენს, რომ ლამის მთელი წლის განმავლობაში მაგისტრალებზე მოძრაობა გადატვირთულია. ამიტომ მგზავრთა უსაფრთხოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

**სპეციალისტების აზრით, რეგიონების მიმართულებით მოძრავი მიკროავტობუსების უმეტესობა სტანდარტთან აბსოლუტურად შეუსაბამოა. უცხოეთიდან ხშირად სატვირთო მიკროავტობუსები ჩამოჰყავთ და ადგილზე ხდება მისი სამგზავროდ გადაკეთება. ასეთი ვითარება იმიტომაა, რომ სატვირთო ტრანსპორტი უფრო იაფია, ვიდრე სამგზავრო და მისი შეძენა მძღოლისთვის გაცილებით ხელმისაწვდომია.** რა თქმა უნდა, ასეთ ტრანსპორტში მგზავრთა ექსპლოატაციის წესები დარღვეულია, ელემენტარულად, სავარძლების განთავსების წესი ნორმასთან არ არის შესაბამისობაში, არ აქვთ ღვედები, სავარძლებს შორის მანძილი არ არის დაცული, მათი დამაგრება და აღჭურვა კუსტარულად ხდება და სხვა. სამწუხაროდ, როცა ასეთი მიკროავტობუსი მოხვდება ავტოსაგზაო შემთხვევაში, შედეგი ფატალურია.

**ბექა დანელია**

მედიცინა



# იღებენ დიპლომს და განვითარებას აღარავინ აგრძელებს!

## სად და როგორ ამზადებენ ექიმებს საქართველოში?

**„შეცდომა სრულად ვერ აღმოიფხვრება, რადგან ექიმი შეცდომას უშვებს და მომავალშიც დაუშვებს“, — ამის შესახებ „კომერსანტს“ „სამედიცინო უნივერსიტეტის“ კანცლერმა ზურაბ ორჯონიკიძემ განუცხადა.**

ორჯონიკიძემ აღნიშნული კომენტარი ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო რეგულირების სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით გააკეთა.

კერძოდ, უწყების ინფორმაციით, 2017 წელს 305 ექიმიდან 300 ექიმის შემთხვევაში დადასტურდა, რომ მათ მიერ გარკვეულ გადაცდომას ჰქონდა ადგილი.

როგორი დონის განათლებას იღებენ მომავალი ექიმები? რა არის ქართველი ექიმების არაპროფესიონალიზმის ძირითადი მიზეზი? — ამ კითხვებით „კომერსანტმა“ შესაბამისი პროფილის უნივერსიტეტების წარმომადგენლებს მიმართა.

აღმოჩნდა, რომ თავად უნივერსიტეტის წარმომადგენლებიც კი დღეს არსებულ სამედიცინო განათლების სისტემას აკრიტიკებენ.

**„ექიმების მიერ დაშვებული შეცდომები სრულად ვერ აღმოიფხვრება, რადგან ექიმი შეცდომას უშვებს და მომავალშიც დაუშვებს, თუმცა ამ ყველაფრის შემცირება უნდა მოხდეს.**

**ამისთვის საჭიროა, რომ გადამზადების პროცესი პერმანენტული და სავალდებულო გახდეს. სამწუხაროდ, სამედიცინო უნივერსიტეტის გარდა, ქვეყანაში ექიმებს 30-მდე დაწესებულება ამზადებს, რაც, რა თქმა უნდა, არასწორია“,** — განაცხადა ორჯონიკიძემ.

მისივე თქმით, სხვა უმაღლეს სასწავლებლებში პრობლემები განსაკუთრებულად დგას, რადგან მათ ექიმების მოსამზადებლად შესაბამისი ინფრასტრუქტურაც კი არ გააჩნიათ.

ჩვენს კითხვაზე, უნივერსიტეტში სწავლის შემდგომ იმ დონის გადამზადება არ ხდება, რაც პროფესიონალ ექიმს სჭირდება? კანცლერი გვპასუხობს, რომ „ზუსტად ამ საკითხზე ვერავინ ისაუბრებს, გამოწერილი რეცეპტი რომ არსებობდეს, შეცდომები აღარ იქნებოდა“.

აღნიშნულ თემაზე „კავკასიის უნივერსიტეტის“ ჯანდაცვის სკოლის დეკანი ვატო სურგულაძე ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ ქვეყანაში ჯანდაცვის ხარისხი ყოველდღიურად უარესდება, ამის გამოსწორება კი თავად სახელმწიფომ პროფესიონალი კადრების გამოშვებით უნდა შეძლოს.

**„ქვეყანაში ჯანდაცვის ხარისხი ყოველდღიურად იკლებს, ამას კი კონტროლი სჭირდება. სფერომ პროფესიონალი კადრები უნდა გამოუშვას და შემდგომ მათი გადამზადება მოხდეს. სამწუხაროდ, ჩვენთან ეს არ ხდება, იღებენ დიპლომს და განვითარებას აღარავინ აგრძელებს“,** — აღნიშნა ვატო სურგულაძემ.

სპეციალისტის აზრით, ასევე აუცილებელია სფეროს მკაცრი რეგულაციები დაუწესდეს და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ყველა დეტალის საფუძვლიანად შესწავლა მოხდეს. მისი განცხადებით, კონსილიუმის ცნება ქვეყანაში უნდა აღდგეს.

**„სექტორს ზოგადად მკაცრი რეგულაცია სჭირდება. მაგალითად, ნებისმიერი დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობა განხილული უნდა იყოს ჯანდაცვის სამინისტროს და კონკრეტული კლინიკის დონეზე, არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ რეალურად. ქვეყანაში კონსილიუმის ცნება მოკვდა და ეს საკითხიც მისახედია“,** — განმარტავს „სურგულაძე.

შეგახსენებთ, რომ გასული წლის განმავლობაში პროფესიული პასუხისმგებლობა 300 ექიმს დაეკისრა. ინფორმაციის თანახმად, 207 ექიმს მიეცა „წერილობითი გაფრთხილება“, სერტიფიკატის მოქმედება სხვადასხვა ვადით კი 93 ექიმს შეუჩერდა.

რაც შეეხება წინა წლებს, 2016 წლის სტატისტიკური მონაცემის მიხედვით — სააგენტომ 178 პაციენტის საქმე შეისწავლა და პროფესიული პასუხისმგებლობა დააკისრა 198 ექიმს, საიდანაც 105-ს წერილობითი გაფრთხილება მიეცა, ხოლო სხვადასხვა ვადით სერტიფიკატის მოქმედება 93 ექიმს შეუჩერდა.

აღსანიშნავია, რომ არც ერთი ექიმის მიმართ არ იქნა გამოყენებული ყველაზე მკაცრი პროფესიული სანქცია.

**ლიკა გურაბანიძე**

# „ჰიპოკრატესა“ და „თბილისის საერთაშორისო აკადემიას“ ავტორიზაცია ჩამოერთვათ!

**სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატესა“ და „თბილისის საერთაშორისო აკადემიის“ სტუდენტები მობილობის წესით სხვა უმაღლეს სასწავლებლებში გადანაწილდებიან.**

— განხორციელდა მონიტორინგი აკრედიტაციის კუთხით და ორ უნივერსიტეტს, საუბარია სასწავლო სამედიცინო უნივერსიტეტზე „ჰიპოკრატე“ და ასევე „თბილისის საერთაშორისო აკადემიაზე“, ჩამოერთვა ავტორიზაცია. სტუდენტები, რომლებიც არიან ამ უნივერსიტეტში, ყველა იქნება მობილობით გადასული სხვა უმაღლეს სასწავლებლებში საკუთარი სურვილისამებრ. ხარისხის მართვის ცენტრი გამოაქვეყნებს რიგგარეშე მობილობას მხოლოდ ამ სასწავლებლების სტუდენტებისთვის და ასევე გაუწევს კონსულტაციებს. სტუდენტებს თავიანთი არჩევანის საფუძველზე საშუალება ექნებათ, რომ სწავლა გააგრძელონ ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებლებში. კონკრეტული დეტალები ხარისხის ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდება. მინდა გითხრათ, რომ ზოგადად დარღვევები ეხებოდა განათლების ხარისხს. ჩვენთვის მთავარ საზრუნავს სწორედ განათლების ხარისხი წარმოადგენს. სახელმწიფომ სიმართლე უნდა უთხრას ყველა ოჯახს, ყველა სტუდენტს და ეს სიმართლე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლები არიან ისინი, ვისაც აქვს მაღალი აკადემიური ხარისხი, — განაცხადა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა.

# არ შეიძინოთ დაუფასოებელი, არაეტიკეტური სუნელ-სანელებლები

**მოსახლეობის საყურადღებოდ: არ შეიძინოთ დაუფასოებელი, არაეტიკეტური სუნელ-სანელებლები! საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია დაუფასოებელი სუნელების რეალიზაცია!**

საშიში სუნელ-სანელებლების თემა დღემდე აქტუალობას არ კარგავს. მიუხედავად იმისა, რომ ახალი საკანონმდებლო ცვლილებით 9 თებერვლიდან დაუფა-



სოებელი და არაეტიკეტური სუნელების გაყიდვა აიკრძალა, იგი დღემდე გვხვდება არა მარტო გარევაჭრობის ადგილებში, არამედ დიდ სუპერმარკეტებშიც. სამწუხაროდ, მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილმა თუ იცის ამ ცვლილების შესახებ. მოვუწოდებთ მომხმარებლებს, არ შეიძინონ დაუფასოებელი, ე.წ. „წონის სუნელები“, რომლებსაც არ გააჩნიათ ეტიკეტი. გაითვალისწინეთ, ახალი დადგენილებით, დაუფასოებელი და არაეტიკეტური სუნელები ექვემდებარება ქსელიდან ამოღებას და განადგურებას!

# საპფო საქართველოში

**ამას წინათ მაჩაბელზე, მწერალთა სახლის ბაღში დაიდგა ამჟამად საბერძნეთში მცხოვრები მოქანდაკის, საქართველოში დაბადებული, თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულის, გელა კესიდის მიერ თბილისისთვის გადაცემული ძეგლი — „პოეზია — საპფო". იქვე გაიმართა ხელოვანის წიგნი-ალბომის წარდგენა.**

**ამ მოვლენასთან დაკავშირებით ბერძნულმა გაზეთმა გამოაქვეყნა ვრცელი ინტერვიუ ამ კულტურული მოვლენების თაოსანთან, ასოციაცია „კულტურათა დიალოგი — XXI"-ს პრეზიდენტთან, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორ ვალერი ასათიანთან.**




ვიწყებ ჩემს სიმღერას მსუბუქი სიტყვებით
ადვილად მოსასმენი რომ იყოს.
ვემსახურები სილამაზეს —
ამაზე მეტს რას შევძლებდი?
მუზებმა ეგ მომანიჭეს, თავიანთი ძალა მომცეს,
რომ ვთქვა სიმართლე,
მომავალ დროში გამოჩნდება ვინმე,
ვისაც ვემახსოვრები...

**საპფო** (ოდისეას ელიტისის თარგმანი)

...არგო შავი ზღვისკენ მიემგზავრება. ჩადის კოლხეთში, იმ მიწაზე, სადაც მიწის სიღრმეში ოქროა მოფენილი. ამ მიწის შვილები ეძებენ და ამუშავებენ მიწის ნაზოძებ საჩუქარს...

კენტავრებიდან, ამორძალებიდან, ოიდიპოსისგან, აფროდიტესგან, პერსეფონესგან, მინოტავროსისგან საერთაშორისო აღიარების მქონე მოქანდაკე გელა კესიდი (მამით ბერძენი, დედით ქართველი) ირჩევს საპფოს და აგზავნის მას თავის მშობლიურ თბილისში. კესიდის ქანდაკებებზე მსჯელობისას ძალიან სწორად აღნიშნავს დავით ანდრიაძე, რომ „კესიდისეული ადამიანები, თითქოსდა, რაღაც „თეია მანიით" არიან მიჯაჭვული ბედნიერებასთან", შევმატებდი, რომ მათ აქვთ „თეია მანია" (ღვთაებრივი მანია) მზის შუქზე გამოსასვლელად. მოქანდაკის საჭრისი ადამიანის სულში დაბუდებული არქეტიპების გამოჩენას იწვევს.

ფორმები, ამოკვეთილი ლაბირინთებითა და სპირალებით, მთელი თავისი გამათავისუფლებელი და განკიცხული ეროტიზმით, თან გხიბლავენ და თან გაშინებენ, აჯადოებენ და იპყრობენ თვალებს. ავხორცობა, მოთმინება და ტკივილი, მათი მარადიული დაბრუნება, თითქოს უყვირის ადამიანის სულს: გახსოვდეს!..

ძარღვიანი საპფო სწორი და ნახევრადშიშველი მკერდით დღევანდელ საქართველოში მიემგზავრება. ადამიანთა ვნებების გამოძერწილი თხრობა, იმ ვნებებისა, რომლებსაც განიცდიდნენ საპფოც და მედეაც, ოდნავ აწეული თავით, ცალი ხელით თეძოზე, ხოლო მეორე ხელი თითქოსდა შესაძლო ჩახუტებას ელოდება, მარადიულად სწვდება ადამიანის სულის ეროტიკულ სიღრმეს. ცისკენ არ იხედება არა იმიტომ, რომ დანაშაულის შეგრძნება ან სინდისის ქენჯნა აწუხებს, არამედ იმიტომ, რომ ის რაც ცაშია, მასშიც არის.

საპფოს მოგზაურობის მხარდამჭერი ვალერი ასათიანი, საქართველოს კულტურის ყოფილი მინისტრი, ბიზანტინისტი, მწერალი, ასოციაციის „კულტურათა დიალოგი XXI" პრეზიდენტი, ცნობილია თავისი ფილელინური გრძნობებითა და მოღვაწეობით. საპფოს ძეგლის გახსნაზე 2017 წლის 3 ივნისს მწერალთა სახლში წარდგენილი იყო მაღალი ხარისხის სამენოვანი (ბერძნული, ინგლისური, ქართული) ალბომი, რომელიც მოქანდაკეს ყველა ნამუშევარს მოიცავს. ალბომის წინასიტყვაობა ბატონ ვალერი ასათიანს ეკუთვნის. სამართლიანად უწოდებს იგი შემოქმედს არა მხოლოდ ორ კულტურას, არამედ ორ სამყაროს: ანტიკურ და თანამედროვე სამყაროს შორის გადებულ „ახალ ცოცხალ ხიდს".

**— როგორც საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნიკოს კოციასმა ნატოს მინისტერიალის სამუშაო შეხვედრების ფარგლებში საქართველოს მსგავსი უფლებამოსილების მქონე პირთან, მიხეილ ჯანელიძესთან განაცხადა, ცნობილია საერთო მრავალსაუკუნოვანი ორმხრივი ისტორიული და კულტურული კავშირები ჩვენს ქვეყნებს შორის. ორი ქვეყნის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან, უკვე 25 წელი იმედის მომცემი პერსპექტივით ვხედავთ, მჭიდრო თანამშრომლობას სხვადასხვა მიმართულებით. როგორია თქვენი ზოგადი მოსაზრება ორ ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთობებზე?**

— ძალზე მახარებს, რომ საბერძნეთისა და საქართველოს კეთილი ურთიერთობები მრავალმხრივია, რომ ჩვენი სახელმწიფოების ხელმძღვანელი ოფიციალური პირები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ამ ურთიერთობების გაღრმავებას.აღარაფერს ვამბობ იმაზე,რომ საუკუნეთა მანძილზე ბერძენ და ქართველ ხალხს შორის თბილი, მეგობრული, მე ვიტყოდი, უნიკალური ურთიერთობა ჩამოყალიბდა. და ეს ასევე გრძელდება დღესაც. ეს უნიკალური ურთიერთობა განპირობებულია საყოველთაო ინტერესით ბერძნული ფენომენისადმი, ბერძნების და ქართველების ოდინდელი ურთიერთობებით და ქრისტიანული სარწმუნოებით.

შემიძლია ვთქვა, რომ საბერძნეთი ჩემი სამშობლოს – საქართველოს შემდეგ ჩემთვის უძვირფასესი ქვეყანაა, შთაგონების წყაროა, ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი გასულ წელს იქ, ჩემს კოლეგებთან ერთად მოგზაურობისას. იმ მრავალი შთაბეჭდილებიდან, რომელიც წლების განმავლობაში მივიღე ელადაში ჩასვლისას, ეს მართლაც სხვანაირი, მეტად შთამბეჭდავი იყო. მეგზურობას გვიწევდა ბერძნული სამყაროს უბრწყინვალესი მცოდნე, ბ-ნი პეტროს მავოპულოსი (კომპანია „Mouzenidis Travel"), რომელმაც კარგად იცის საქართველოც და აქ არაერთი მეგობარი ჰყავს. ჩვენი ჯგუფით კი მეტი შეემატა.

დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე ჩვენმა ხალხმა ბევრი რამ გადაიტანა და ბრძოლით შეინარჩუნა ეროვნული სახე, ხასიათი, რისი განმტკიცებაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ეს არაა ადვილი... ამიტომაც მიმაჩნია, რომ ახალმა თაობებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ ღირსეული ეროვნული ტრადიციების, ფასეულობების შესანარჩუნებლად.

საქართველოს ისტორიაში იყო ასეთი ფაქტი: 1924 წლის 16 მარტს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ, რომელიც დასაჯეს იმის გამო, რომ იგი სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა, სასამართლო პროცესზე ასე მიმართა ჯალათებს: **„ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, ჩემი გული სამშობლოს. ჩემი გვამი კი თქვენთვის დამითმია, მტარვალებო!"** როგორ შეიძლება აქვე არ გავიხსენოთ თანამედროვეობის ლეგენდის – მელინა მერკურის დამოკიდებულება სამშობლოსადმი....

**— როგორც აღნიშნეთ გელა კესიდის შემოქმედების ალბომის შესავალ წერილში, ორ ქვეყანას შორის კავშირები ჯერ კიდევ ნეოლითური ეპოქით თარიღდება. რამ განაპირობა თქვენი სიყვარული საბერძნეთის მიმართ და რამ შეუწყო ხელი თქვენს ფილელინურ საქმიანობას?**

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლება მივიღე კლასიკური ფილოლოგიის განხრით. მყავდა შესანიშნავი პედაგოგები, რომლებმაც გვაზიარეს „ელინურ სიბრძნეს", შეგვაყვარეს ელადა, რომელიც მრავალთათვის, მათ შორის ჩემთვის, მეორე სამშობლოდ იქცა. ჯერ კიდევ ძველ ქართულ მწერლობაში (მე-11-12 საუკ.) დამკვიდრდა „ელინოფილობა", რაც აისახა მრავალი ქართველი მწერლის, ფილოსოფოსის შემოქმედებით მემკვიდრეობაში. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა „ათონის ლიტერატურული სკოლა", ჩემი წინაპრების მიერ დაარსებული ივირონის მონასტერი და სხვა მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო კერები. მაგვახარებს, რომ საქართველო მრავალი დემოკრატიული პარამეტრით, არაერთ სფეროში (სიტყვის თავისუფლება, კანონმდებლობა, სასამართლო, მეცნიერება, კულტურა, სპორტი, ბიზნესის განვითარება, სოფლის მეურნეობა, საბანკო საქმე, ინფრასტრუქტურა, მედიცინა, ტურიზმი და სხვ. მოექცა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში. საკმარისია, ვახსენოთ თუნდაც ასოცირების ხელშეკრულბა, ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა, ვაჭრობა, სატრანსპორტო კომუნიკაცია – „დიდი აბრეშუმის გზა"და სხვ.

**– 1918 წელს დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც შემდგომში ბერძნული კულტურისა და კვლევების კერა გახდა. 1997 წელს კი დაარსდა კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი. თქვენ თვითონ ბიზანტინისტი ბრძანდებით ფართო კლასიკური განათლებით, და დიდი წვლილი მიგიძღვით ამ მიმართულებით კვლევების განვითარებაში. როგორ დაახასიათებდით დღევანდელი უნივერსიტეტის სურათს?**

– დღეს კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტს აქვს შემდეგი სტრუქტურა: კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის კათედრები, ხმელთაშუა ზღვის კულტურების შემსწავლელი სამეცნიერო ლაბორატორია, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ბიბლიოთეკები, საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსი", რომელმაც დღემდე 230-ზე მეტი წიგნი გამოსცა ბერძნულ თემატიკაზე, მათ შორის, მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, ლექსიკონები, ენციკლოპედიები, თარგმანები, სამეცნიერო პერიოდიკა და სხვ.

ინსტიტუტის დამფუძნებელია ცნობილი ქართველი მეცნიერი, საქსონიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პროფესორი რისმაგ გორდეზიანი, რომლის ინიციატივით ბერძნული კვლევების სფეროში არაერთი საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტი განხორციელდა და ხორციელდება.

ინსტიტუტი ფუნქციონირებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული მეცნიერების ფაკულტეტთან და საქართველოსა და საბერძნეთის ხელისუფლებისა და სასწავლო-სამეცნიერო ცენტრების ფართო მხარდაჭერით სარგებლობს. ინსტიტუტი სთავაზობს სტუდენტებს სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს: ბაკალავრიატს, მაგისტრატურასა და დოქტურანტურას. ასევე სისტემატურად აწყობს სამეცნიერო კონფერენციებს, სიმპოზიუმებს და სხვადასხვა სახის ღონისძიებებს ბერძნული კულტურის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით.

**– ბატონი კესიდის წყალობით, რომელთანაც არაერთხელ მითანამშრომლია, შეხება მქონდა ქართულ ანბანთან, რომელიც ჩემთვის პირადად ძალიან მიმზიდველია და იეროგლიფების ტოლფასია. სადღაც წავიკითხე, რომ ასო-ბგერების მოხაზულობა და განშტოებები**

ხარებს, რომ ბერძნული კულტურა ჩემი შთაგონების წყაროდ იქცა...

**– რამდენადაც ცნობილია, თქვენ იზრუნეთ ვანის გათხრების აღმოჩენების გამოფენის სახით ჩამოტანაზე ამერიკისა და ევროპის დიდ მუზეუმებში, მათ შორის საბერძნეთშიც. გამოფენებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და გამოააშკარავა იმ ქვეყნის განვითარებული კულტურა, რომელზეც, სიმართლე რომ ვთქვათ, ცოტა რამ ვიცით, ძირითადად, პოლიტიკური და გეოფიზიკური მღელვარებებისა და არეულობების გამო, რომლებსაც უკანასკნელ ათწლეულებში თქვენი რეგიონი განიცდიდა. რას გვეტყოდით დღევანდელ, სწრაფად განვითარებად საქართველოზე?**

– დიახ, იმ გამოფენებს მართლაც სათანადო რეზონანსი ჰქონდა. აქ არ შემიძლია არ ვახსენო გამოჩენილი ქართველი არქეოლოგი ოთარ ლორთქიფანიძე, რომელმაც მსოფლიოს გააცნო „ოქრომრავალი კოლხეთი" და დასავლეთ საქართველოში (ვანში) მის მიერ განხორციელებული არქეოლოგიური გათხრების, აღმოჩენების მნიშვნელობა საყოველთაოდ იქნა აღიარებული საერთაშორისო ასპარეზზე. 2015 წელს საქართველოში აღინიშნა „ახალი არგონავტების" მოგზაურობის (ელადა-ძვ.იოლკოსი-ვოლოსი-საქართველო-ვანი) 30 წლისთავი. საქართველოში იმყოფებოდნენ იმ ექსპედიციის წევრები ტიმ სევერინის ხელმძღვანელობით.

საქართველო დაადგა დემოკრატიული აღმშენებლობის გზას. ეს პროცესი, რასაკვირველია, სირთულეებთანაც არის დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, ნაბიჯ-ნაბიჯ ქვეყანა წინ მიიწევს... მაგრამ, დიდად სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ წყდება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, საქართველოს ძირძველი მხარეებიდან, საკუთარი სახლებიდან გამოძევებული 300.000-ზე მეტი ლტოლვილის პრობლემა. ეს არის უდიდესი, მოუშუშებელი ტკივილი...

იმედია, რომ მომავალში ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან ერთად როგორმე მოიძებნება გამოსავალი და ამაში დიდი უნდა იყოს მსოფლიოს თანამეგობრობის მხარდაჭერა, მისი როლი.

**მოგვაგონებს ვაზს, რომელიც ისტორიული წყაროების მიხედვით, არ არის გამორიცხული, რომ პირველად გამოჩნდა კოლხეთში აღმოსავლეთიდან (აქედან არის დიონისიოსის ქანდაკებებიც, რომელიც გათხრების დროს აღმოაჩინეს). ასევე წავიკითხე, რომ ქართული ანბანი, და პოლიფონიური სიმღერა, ჩართულია UNESCO-ს არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობათა სიაში. როგორ მოახერხა საქართველომ, შეენარჩუნებინა უცვლელად თავისი ენა და ენის წყალობით თავისი კულტურა?**

– გეთანხმებით, ქართული ენა (იგი მიეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფს) ჩვენი ერის ისტორიული განვითარების ყველაზე დიდი მონაპოვარია. ქართული დამწერლობა ერთ-ერთია მსოფლიოს 14 დამწერლობათა სისტემებში. სალიტერატურო ენა 15-საუკუნოვანია, რადგან ქართული ანბანის რეალური ისტორია იწყება მე-5 საუკუნიდან ჩვენამდე მოღწეული წერილობითი ძეგლების მიხედვით. ქართული ანბანი კი, მეცნიერთა მტკიცებით, უნდა შექმნილიყო ძვ. წელთაღრიცხვის მე-7-6 საუკუნეებში.

რაც შეეხება ვაზს, მისი კულტი საქართველოში განსაკუთრებულია. ცნობილია, რომ წმ. ნინოს, რომელმაც ქრისტიანობა გაავრცელა საქართველოში (მე-4 საუკ.), საქართველოს უძველეს დედაქალაქში – მცხეთაში სალოცავად აღუმართავს ვაზის ტოტისგან გაკეთებული ჯვარი. მრავალსაუკუნოვან ქართულ პოლიფონიურ სიმღერებში გამორჩეულია ვაზის სადიდებელი სიმღერა „შენ ხარ ვენახი“.. ეს საგალობელი დღეს ყველგან, ყველა ოჯახში იმღერება საქართველოში...

საგულისხმოა, რომ დღევანდელ მსოფლიოში საქართველო აღიარეს ღვინის უძველეს სამშობლოდ (8.000 წელი). ამის შესახებ მედიაში ბევრჯერ დაიწერა, განსაკუთრებით 2017 წელს საფრანგეთში, ბორდოში გამართული ცნობილი საერთაშორისო ფორუმის შემდეგ.

ჩვენში ხშირად გაიგონებთ: საქართველო გადაარჩინა სულიერებამ, კულტურამ, ენამ. როგორ? ფორმულის მოძებნა ნამდვილად გამიჭირდება. ერთს კი ვიტყვი: ალბათ, გენეტიკურმა კოდმა, სიცოცხლისუნარიანობამ, თვითმყოფადობის შენარჩუნების დაუოკებელმა სურვილმა! ბერძენ ხალხს ამის გაგება ნამდვილად არ გაუჭირდება.

**– რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საქართველოში ბერძნული კლასიკური ნაწარმოებების უამრავი თარგმანი არსებობს, თუმცა პირუკუ – არა. ჩვენი შეხება ქართულ კულტურასთან ბერძნულ ენაზე შედარებით შეზღუდულია. რას მიაწერდით ამას?**

– ამაშიც გეთანხმებით. ქართულად ჰომეროსით დაწყებული თანამედროვე ბერძნული მწერლობის ჩათვლით, მართლაც ბევრი რამ ითარგმნა. ზემოაღნიშნულ გამომცემლობა „ლოგოსის“ მიერ ბერძნულ თემატიკაზე გამოცემული წიგნების ჩამონათვალი შორს წაგვიყვანს.

სამწუხაროდ, ბერძნულად ადვილად არ მოიძებნება წიგნები ქართული კულტურის შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ 2016 წელს ათენში, მართალია, დიდი დაგვიანებით (ორმოცი წლის განმავლობაში ინახებოდა ოჯახის არქივში და მხოლოდ ერთი ეგზემპლარი არსებობს საქართველოს ცენტრალურ ეროვნულ ბიბლიოთეკაში), მაგრამ მაინც ბერძნულად გამოიცა საქართველოს სიმბოლოს – რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნის“ (მე-12 საუკ.) თარგმანი, რომელიც ეკუთვნის ემანუილ მიტაფიდისს.

თავდაპირველად ბერძნული თარგმანი დაიგეგმა რუსთაველის 800 წლის იუბილესთვის, 1966 წელს. იგი 2016 წელს გამოსცა მისმა შვილიშვილმა გრიგორის კირიაკოსმა, რუსთაველის 850 წლის იუბილესთვის შეზღუდული ტირაჟით, დაიბეჭდა მხოლოდ 200 ცალი.

წიგნის ილუსტრაციებიც საბერძნეთში შესრულდა ხარის ნაზლიდისის მიერ. მთარგმნელი ემანუილ (მანოლის) მიტაფიდისი (1893-1974) ცხოვრობდა სოხუმში, იყო პედაგოგი.

რამდენადაც ვიცი, საბერძნეთში ამ პოემის სხვა თარგმანიც მზადდება, ათენის ქართული ინსტიტუტის დირექტორის **ავთანდილ მიქაბერიძის** ინიციატივით. ახალ თარგმანს აკეთებს ბერძენი პოეტი კალახორასი. ბ-ნი ავთანდილი წლების განმავლობაში ნაყოფიერად მოღვაწეობს საბერძნეთში და ბევრს აკეთებს ბერძნულ-ქართული ურთიერთობების განსამტკიცებლად.

ძალზე ცოტა რამ ითარგმნა ქართული კლასიკისა თუ თანამედროვე მწერლების შემოქმედებიდან. ნამდვილად გამონაკლისია ჩვენი კოლეგის, ცნობილი ქართველი ელინოლოგის, ქ-ნ თამარ მესხის მიერ გამოცემული თარგმანები, რომელსაც ასევე მიეკუთვნება ბერძნულიდან შესრულებული თარგმანები, მათ შორის, კაზანძაკისის რომანების თარგმანებიც. განსაკუთრებულად პოპულარული გახდა საბერძნეთში მის მიერ თარგმნილი თანამედროვე ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის „ჰელადოსი“. ეს გულშიჩამწვდომი მოთხრობა სოხუმში მცხოვრები ბერძნების შესახებ ქ-მა თამარმა ბერძნულად თარგმნა 1992 წელს და ეს თარგმანი იქცა ბერძნებისა და ქართველების მეგობრობის ჰიმნად. პირველად ამ მოთხრობის მიხედვით სპექტაკლი დაიდგა ჯერ კრეტაზე, შემდეგ კი სხვა ქალაქებში. მეტიც, „ჰელადოსი“, როგორც მეგობრობის სადიდებელი სკოლების სასწავლო პროგრამებშიც კი შეიტანეს.

ქალბატონ თამარ მესხის თარგმანებს მიეკუთვნება: ანა კალანდაძე, ლექსები; გალაკტიონ ტაბიძე, ლექსები; საბერძნეთი ქართველი პოეტების შემოქმედებაში „გეორგიაელადა“ (ბერძნულ-ქართულ ურთიერთობათა განვითარების ფონდის ბიულეტენი), 1999, „წმიდა დედანი“, ტომი VI, თესალონიკი, 1996, 345-371. ნინო (ნაწყვეტი წმიდა ნინოს ცხოვრებიდან, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“), დ. ცამისის მიერ გამოცემულ სერიაში „წმიდა დედანი“, ტომი VI, თესალონიკი, 1994, 345-371; თამარი (ნაწყვეტი წმიდა თამარის ცხოვრებიდან „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, დ. ცამისის მიერ გამოცემულ სერიაში „წმიდა დედანი“, ტომი VI, თესალონიკი, 1994, 452-467; (წმინდა სინის მთის წმინდა ეკატერინეს მონასტრის 1957 წელს აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა სია, ათენი 2005, 9-221.

ანი ჩიქოვანმა და დიმიტრის ნოლასმა თარგმნეს ქართული პოეზიის ანთოლოგია, რომელშიც შესულია როგორც ხალხური პოეზიის საუკეთესო ნიმუშები, ასევე, მცირე ნაწყვეტი რუსთაველის პოემიდან „ვეფხისტყაოსანი“, XVIII და XIX-XX საუკუნეებში მოღვაწე ქართველ პოეტთა ლექსები, მათ შორის, დავით გურამიშვილი, ბესიკი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და მრავალი სხვ.

გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოქვეყნდა: ნოდარ დუმბაძე, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, თარგმანი: მარიანა გავრილიდუ, გამომცემელი კასტანტიოტის, 1987; სულხან ორბელიანი, მითების სიბრძნე, მთარგმნელი: კოსტას ასიმაკოპულოსი, გამომცემელი: ხაძინიკოლი, 1988 და 1999. საქართველოს წმინდანები, ამორჩეულია და შედგენილია რუსული სვინაქსარების მიხედვით, მავედრებლის წმინდა ტაძრის გამომცემლობა, ატიკის ოროპოსი, 1986.

**მსოფლიოს ზნეობრივმა და ინტელექტუალურმა ძალებმა თუ არ გამოიჩინეს მეტი სიმტკიცე და თანმიმდევრულობა განათლებისა და ჭეშმარიტი ხელოვნების დომინირების თვალსაზრისით და მეტად არ შეუწყვეს ხელი ჰუმანისტური ტენდენციების დამკვიდრებას (განსაკუთრებით, ახალგაზრდობის აღზრდის პროცესში), გარდაუვალია უდიდესი კატასტროფა, რისი ნიშნებიც აქა-იქ უკვე არსებობს. განათლებასა და ხელოვნებას ბევრი რამ შეუძლია. საჭიროა ამ უშრეტი პოტენციალის გონივრულად ამოქმედება. ამიტომაც, წინ – ანტიკური ზოგადადამიანური იდეალებისაკენ!**



22 წლის წინათ საბერძნეთში. მარცხნიდან: ოდისეი დიმიტრიადი, ოთარ ლორთქიფანიძე, რომან მიმინოშვილი, ე. ვენიძელოსი, მზექალა შანიძე, ვალერი ასათიანი, ალექსანდრე ჩიქვაიძე და სხვ. 1996 წ.

იმედია, მომავალში ქართულ მწერლობას მეტად გაეცნობა ბერძნული საზოგადოება.

**– თქვენს აქტივში გაქვთ საკმაოდ მდიდარი სამწერლობო ბიოგრაფია. ბერძნული საზოგადოება როგორ შეიძლება გაეცნოს თქვენს ნაშრომებს?**

– დიახ, მართლაც ასეა. ჩემი წიგნები „ანტიკურობა ძველ ქართულ მწერლობაში“(1987). ანტიკური და ბიზანტიური ტრადიციები ძველ ქართულ მწერლობაში (1996),„ბიზანტიური ცივილიზაცია“ (2006, 2015), სტატიები და სხვ. ქართულად და ნაწილობრივ ინგლისურადაა ხელმისაწვდომი. მომავალში ვფიქრობ, ბერძნულადაც გამოვცე წიგნი „ელადა და ქართული კულტურა“. ჩაფიქრებული მაქვს სხვა პროექტებიც.

**– ცოდნის გასავრცელებლად ორგანიზებას უწევთ ბევრ სიმპოზიუმს, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს სიმპოზიუმები მაინც ცოტა „მეცნიერებასთან ზიარებულ“ ადამიანებს ეხება. როგორ შეიძლება, უფრო ფართო საზოგადოების კუთვნილება გახდეს სიმპოზიუმების შინაარსი?**

– საქართველოში ჩვენი ინსტიტუტის და პირადად მისი დამფუძნებლის, ცნობილი ელინისტის, ბ-ნ რისმაგ გორდეზიანის, და სხვათა ძალისხმევით არაერთი სიმპოზიუმი თუ კონფერენცია გაიმართა ჩვენი უცხოელი კოლეგების, მათ შორის, ბუნებრივია, ბერძენი კოლეგების, მეგობრების მონაწილეობით.

თუნდაც გასულ 2017 წელს ჩატარებულმა კონფერენციამ და ქართველ მხატვართა საგანგებო თემატურმა გამოფენამ („მედეას თემა მსოფლიო მხატვრულ კულტურაში“) ინტერესი გამოიწვია. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მაინც არაა საკმარისი. საჭიროა მეტი მრავალფეროვნება, მასშტაბები.

ამიტომაც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გარდა ქართული მწერლობის პოპულარიზაციისა საბერძნეთში, ძალიან მინდა მომავალში ჩემი ხელმძღვანელობით მოქმედმა ასოციაციამ („კულტურათა დიალოგი – XXI“), ბუნებრივია, საქართველოსა და საბერძნეთის ოფიციალური სტრუქტურების, კერძო სექტორის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერით ჩავატაროთ „ქართული კულტურის სეზონი საბერძნეთში“ და „ბერძნული კულტურის სეზონი საქართველოში“. ვნახოთ, სურვილი ნამდვილად დიდი მაქვს...

**– ოპტიმისტურად უყურებთ თუ არა იმ ცვლილებებს, რაც დღევანდელ მსოფლიოში ხდება? გჯერათ, რომ, რაც დაემართა კაცობრიობას, მისთვის გაკვეთილი იქნება? აქვს თუ არა დღეს განათლებასა და ხელოვნებას ძალა, შეცვალოს შესაძლო საზარელი შედეგები?**

– დღევანდელი მსოფლიო პროგრესის დროშით კატასტროფულად მოექცა გლობალიზაციის ღვარცოფში. ხდება საზოგადოების დეჰუმანიზაცია, ადამიანის გაუცხოება,ზნეობრივი საფუძვლების, ორიენტირების მსხვრევა, რყევა, ფასეულობათა ჩანაცვლება, სულიერების დაკნინების არაერთი მცდელობა.

არც ის იქნება ახალი თუ ვიტყვი, რომ თანამედროვეობაში ადგილი აქვს ცნობიერების გადაგვარებას... კაცობრიობა მართლაც განიცდის აგონიას და გარკვეულწილად მოგვაგონებს ანტიკური სამყაროს დასასრულს. მაგრამ მდგომარეობა ახლა კიდევ უფრო მძიმეა, რადგანაც მაშინ ქრისტიანობა შემოვიდა, როგორც ახალი ძალა. ტექნიზაცია, მანქანა, პრაგმატიზმი, როგორც აღვნიშნე, ადამიანური ცხოვრების დეჰუმანიზაციას იწვევს.

გამოფხიზლებაა აუცილებელი, რადგან კულტურა არ უნდა შეიწიროს პრაგმატიზმმა. მსოფლიოს ზნეობრივმა და ინტელექტუალურმა ძალებმა თუ არ გამოიჩინეს მეტი სიმტკიცე და თანმიმდევრულობა განათლებისა და ჭეშმარიტი ხელოვნების დომინირების თვალსაზრისით და მეტად არ შეუწყო ხელი ჰუმანისტური ტენდენციების დამკვიდრებას (განსაკუთრებით, ახალგაზრდობის აღზრდის პროცესში), გარდაუვალია უდიდესი კატასტროფა, რისი ნიშნებიც აქა-იქ უკვე არსებობს. განათლებასა და ხელოვნებას ბევრი რამ შეუძლია. საჭიროა ამ უშრეტი პოტენციალის გონივრულად ამოქმედება. **ამიტომაც, წინ – ანტიკური ზოგადადამიანური იდეალებისაკენ!**

**– საპფო დღეს ამშვენებს მწერალთა სახლს. შენობაც და ქანდაკებაც ქმნის განუმეორებელი სილამაზის სცენას. რა სიტყვებით შეგიძლიათ გადმოსცეთ საპფოს საზეიმო გახსნის ატმოსფერო და მისი დიალოგი თბილისთან?**

– ბ-ნი გელა კესიდის მშვენიერი ქმნილების „საფოს“ დადგმა „მწერალთა სახლის ისტორიულ ბაღში მრავლისმთქმელია. ესაა გენიალური, მარადიული ანტიკური კულტურის ახალი სუნთქვა თანამედროვე საქართველოში, რომელიც დიდ პატივს მიაგებს ბერძნულ ფენომენს და განამტკიცებს ბერძნულ-ქართულ მრავალსაუკუნოვან მეგობრობას.

ეს არის ახალი კულტურული ხიდი, ახალი დიალოგი ჩვენი კულტურებისა, რომელიც უთუოდ წარმატებით გაგრძელდება! ესაა დროთა კავშირის განსხეულებული სიმბოლო!

**ესაუბრებოდა ბერძენი ჟურნალისტი**
**არგირო პაცუ**



# როგორ შეარიგა ყაზახეთმა გაეროს უშიშროების საბჭოს წევრები

**იანვრის სხდომებმა ყაზახეთის თავმჯდომარეობით კინკლაობისა და კამათის გარეშე ჩაიარა, ყველა რეზოლუცია მიღებულ იქნა ერთხმად. ყაზახეთი საქმეს მიუდგა ძალზე აწონილ-დაწონილად და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით. ახლა ჯერი მსოფლიო საზოგადოებრიობაზეა, გამოიჩინოს პასუხისმგებლობა საკუთარი მომავლის წინაშე.**

**გაეროს უშიშროების საბჭოში მორიგი როტაცია შედგა. ერთთვიანი თავმჯდომარეობის შემდეგ ყაზახეთმა ამ უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ორგანიზაციის თავმჯდომარეობის ესტაფეტა ქუვეითს გადასცა. უნდა ვიფიქროთ, რომ ყაზახეთის დიპლომატებმა ეს საკუთარი ვალის მოხდის გრძნობით გააკეთეს, ერთი თვის მანძილზე მათ ხომ მეტი შეძლეს, ვიდრე ეს მოახერხა უშიშროების საბჭოს ბევრმა თავმჯდომარეებმა წლების განმავლობაში.**

2018 წლის იანვარი საერთაშორისო ურთიერთობებში ერთ-ერთი ყველაზე უფრო შფოთიანი დრო გამოდგა. ყოველ შემთხვევაში, ბოლო წლებში იანვარი ასეთი მღელვარებებით აღსავსე არ ყოფილა. ოთხ კვირაზე ცოტა მეტი გახდა საჭირო იმისათვის, რომ ერთგვარად შემცირებულიყო დაძაბულობა რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის უკვე ახალ „ცივ ომად" ქცეულ ურთიერთობებში, როდესაც ამერიკელებმა ახალი სანქციები შემოიღეს რუსეთის წინააღმდეგ. ავღანეთში ბოლო წლების რამდენიმე საშინელი ტერორისტული აქტი მოხდა, ახლო აღმოსავლეთში თურქეთმა სრულმასშტაბიანი ოპერაცია წამოიწყო სირიელი ქურთების წინააღმდეგ, ხოლო კორეის ნახევარკუნძულზე, ოლიმპიადის მომზადების ბოლო ეტაპზე, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მხრიდან ატომურმა საფრთხემ საშიში, გლობალური ფორმა მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ ორ კორეას შორის ურთიერთობები ოდნავ დათბა კიდეც.

არც ერთი ამ პრობლემათაგანი ყაზახეთის მხრიდან გაეროს უშიშროების საბჭოში უყურადღებოდ არ დარჩენილა. მარტო ახლო აღმოსავლეთისადმი მიძღვნილ ვითარებას ოთხი სხდომა მიეძღვნა. ეს რეგიონი პერმანენტული არასტაბილურობის გამო ტერორიზმის ბუდედ იქცა და საფრთხეს უქმნის მსოფლიოს ყველა ქვეყანას, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების საფრთხის ჩათვლით. მთლიანობაში სულ 20 სხდომა შედგა, ყველაზე უფრო აქტუალური საკითხების განხილვით.

**რემარკის სახით — გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომებზე მსოფლიოში არსებული ნებისმიერი პრობლემა არ განიხილება ხოლმე. ეს ხდება საბჭოს წევრების შეხედულებისამებრ, ან საბჭოს თავმჯდომარის მიერ. უკანასკნელ ხანებში გაეროს უშიშროების საბჭო მის ცალკეულ წარმომადგენლებს შორის ურთიერთობების გარკვევის არენად იყო გადაქცეული და სწორედ ეს ახდენდა მისი დღის წესრიგის ფორმირებას. ყაზახეთი კი ცდილობდა, განსახილველად გამოეტანა ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი თემები, რომლებიც ყველასათვის წარმოადგენენ საფრთხეებსა და რისკებს და, რომლებსაც, ერთმანეთთან დაპირისპირებით გართული მხარეები, ხშირად ყურადღებას არ აქცევენ.**

მაგალითისთვის ავიღოთ ავღანეთიდან გამომდინარე საფრთხე. ავღანეთის პრობლემა მხოლოდ ზერელე შეხედვით ჩანს რეგიონული მასშტაბის პრობლემად. მაგრამ რატომ ავიწყდებათ ასე ხშირად, რომ ეს ქვეყანა ჰეროინის წარმოების ლიდერად იქცა, მის მინდვრებზე გამოყვანილი ნარკოტიკები კი გრძელი გზითა და ჩახლართული სქემებით ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყნებში შავ ბაზარზე ხვდებიან. ავღანეთი იქცა ნარკოტიკებისა და ტერორიზმის ექსპორტიორ ქვეყნად, ისევე, როგორც ახლო აღმოსავლეთის რეგიონი. ეს საერთო პრობლემაა. 2000 წლიდან მოყოლებული, ტერორისტული აქტების რიცხვი მსოფლიოში 10-ჯერ გაიზარდა. მხოლოდ 2016 წელს ტერორისტებმა შეტევა 104 ქვეყანაში განახორციელეს, ანუ მსოფლიოს ნახევარზე მეტში. ახლა კი გავიხსენოთ, რამდენად ხშირად ვხვდებით ახალ ამბებში ცნობებს ავღანეთიდან? სანქციური ომების, პოლიტიკური კინკლაობისა და შეიარაღებების შეჯიბრის ფონზე ავღანეთის თემა საინფორმაციო ცნობებში თითქოს გაფერმკრთალდა. არადა, საფრთხე კიდევ უფრო მეტად გაიზარდა, ერაყიდან და სირიიდან გამოდევნილი „ისლამური სახელმწიფოს" ტერორისტები რეგიონში ახალ საყრდენს ეძებენ და, სავარაუდოდ, რადიკალების რაოდენობის მკვეთრი მატების მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, ეს საყრდენი ისევ ავღანეთი ხდება.

ავღანეთის თემატიკას ყაზახეთმა ცალკე სხდომა მიუძღვნა უშიშროების საბჭოში. როგორც ჩანს, ოფიციალურმა ასტანამ ავღანეთის მიმართ უშიშროების საბჭოში ყურადღების მობილიზება მოახდინა. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი-სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, პირველად 2010 წლის შემდეგ, პირადად მოინახულეს ავღანეთი. 13-15 იანვარს უშიშროების საბჭოს თხუთმეტივე ელჩისგან შემდგარი დელეგაცია ქაბულს ეწვია, რათა ადგილზე შეეფასებინათ ვითარება და გაეკეთებინათ დასკვნები.

**კიდევ ერთი საკითხი, რომელიც არსებითი გახდა უშიშროების საბჭოში ყაზახეთის თავმჯდომარეობისას, მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობაა. კიდევ ერთი თემა, რომელიც ყოველდღიურობას განეკუთვნება. დიდი სახელმწიფოები ერთმანეთს ედრებიან ბირთვული არსენალებითა და „წითელი ღილაკებით", ამ დროს კი მსოფლიო ყოველივე ამას მიეჩვია და მშვიდად ადევნებს თვალს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბირთვული საფრთხე რაღაც ეფემერული და რეალობისგან დაშორებულია. მაგრამ იმ ქვეყნებმა, რომლებმაც თავიანთ თავზე გამოსცადეს მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების შედეგები, უკეთ უწყიან, თუ რა კატასტროფულ საფრთხეს შეიცავს მსოფლიოში მზარდი ატომური საფრთხე.**

მაგრამ მსოფლიოს ეს არ ესმის. „წითელი ღილაკი" სახელმწიფოს ძლიერების სიმბოლოდ ყოფნას აგრძელებს და კამათში მთავარი არგუმენტია. ამიტომ ბევრი სხვა სახელმწიფო ცდილობს მასობრივი განადგურების საშუალებების დაუფლებას, ბაძავს ატომურ სახელმწიფოებს, რომლებიც კოლეგებს ფორმალურად დემილიტარიზაციისაკენ მოუწოდებენ, მაგრამ თავად არ ჩქარობენ, უარი თქვან თავიანთ მომაკვდინებელ არსენალზე. ვინ მიჰყვება მოწოდებებს, თუკი თავად მოწოდების ავტორი არ ასრულებს მათ?



ამ ვითარებაში მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ საქმის არსი სულაც არ არის მსოფლიოში მასობრივი განადგურების შეიარაღებების მზარდი რაოდენობა, და არც მათი გავრცელების გეოგრაფიაში. მნიშვნელოვანია თავად მისი არსებობა და არაჯეროვანი დაცვა. როგორც ყაზახეთის პრეზიდენტმა გაეროს უშიშროების საბჭოში გამოსვლისას სამართლიანად აღნიშნა, ასეთი შეიარაღებების მფლობელი სახელმწიფოების სპექტრის ზრდა ზრდის ამ შეიარაღებების ტერორისტების ხელში ჩავარდნის ალბათობასაც.

მაშასადამე, მასობრივი განადგურების საშუალებების გაუვრცელებლობა დღესდღეობით კაცობრიობის გადარჩენის საკითხია. ეს მესიჯი ყაზახეთმა გაახმიანა მთელი მსოფლიოს გასაგონად, ისარგებლა რა მსოფლიოს მთავარი ტრიბუნით. ეს არ იყო მხოლოდ მოწოდება, არამედ ყაზახეთის საგარეო პოლიტიკის საუკეთესო ტრადიციებში — დეტალური გეგმა, თუ როგორ უნდა შემცირდეს მინიმუმამდე ბირთვული საფრთხე. კერძოდ, ნურსულთან ნაზარბაევმა შემოიტანა წინადადება, გამომუშავებულ იქნას ქმედითუნარიანი მექანიზმი მასობრივი განადგურების შეიარაღებების გავრცელების გამო დასასჯელად, მან ასევე მოითხოვა, გართულდეს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებიდან გამოსვლა, რომელიც, ავად თუ კარგად, მსოფლიოში შეკავების ელემენტს წარმოადგენს.

იმისათვის, რომ ამ მექანიზმებმა რეალურად იმუშაონ, ყაზახეთმა მოუწოდა ყველა მხარეს, აწარმოონ დიალოგი ნაცვლად კინკლაობისა და იქონიან ნდობა ერთმანეთის მიმართ. ნდობა უმთავრესია. იგი ძალზე არ ჰყოფნის თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებს. ნდობა, რომელსაც შეუძლია ყველა კონფლიქტი და კრიზისი მოაგვაროს დედამიწაზე. ნდობა, რომელიც მასობრივი განადგურების საშუალებებს აბსოლუტურად უსარგებლოდ აქცევდა. იყო წარმატებული და ავტორიტეტული სახელმწიფო, შეიძლება ამ საშუალებების გარეშე. ყაზახეთი ამას ყოველდღე ამტკიცებს საკუთარი მაგალითით.

გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეობა ხშირად და არასწორად მიიჩნევა ფორმალობად. მაგრამ ყაზახეთის გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ უმთავრესი მომენტია, თუ ვინ და როგორ მიუდგება საქმეს. იანვრის სხდომებმა ყაზახეთის თავმჯდომარეობით კინკლაობის და კამათის გარეშე ჩაიარა, ყველა რეზოლუცია მიღებულ იქნა ერთხმად. ყაზახეთი საქმეს მიუდგა ძალზე აწონილ-დაწონილად და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით. ახლა ჯერი მსოფლიო საზოგადოებრიობაზეა, გამოიჩინოს პასუხისმგებლობა საკუთარი მომავლის წინაშე.

**რევაზ გიორხელიძე**

# ანდერს ბრეივიკმა პირველად აღიარა, რომ ნანობს ჩადენილ საქციელს

**77 ადამიანის მკვლელობისთვის გასამართლებული ნორვეგიელი ანდერს ბრეივიკი პირველად ნანობს მომხდარს. მან ციხის ადმინისტრაციას წერილი მიწერა, სადაც ნათქვამია, რომ უკვე აღარ ემხრობა ფაშისტურ და ნეონაციონალურ იდეოლოგიას.**

**ბრეივიკი დასძენს, რომ თანახმაა, დაემორჩილოს და დაიცვას ციხის ყველა მოთხოვნა და აღარ წამოაყენებს არანაირ პირობები. „მე ვწუხვარ ჩემ მიერ 2011 წლის 22 ივლისს ჩადენილ მოქმედებაზე**



**და რომ იყოს შესაძლებელი, ისე ვიზამდი, რომ ეს არ მომხდარიყო" — ნათქვამია წერილში.**

**ირკვევა, რომ ანდერს ბრეივიკმა ეს წერილი 2017 წელს, შემოდგომას დაწერა. მას შემდეგ, რაც სასამართლომ უარი უთხრა მას ანაზღაურებაზე, რასაც ითხოვდა საკანში მარტო ჯდომის გამო.**

**ცნობისთვის, ანდერს ბრეივიკს მისჯილი აქვს 21 წლით თავისუფლების აღკვეთა. იგი დამნაშავედ ცნეს 77 ადამიანის მკვლელობაში.**



**წარწერა ფოტოზე,**
**რომელზეც გამოსახული არიან ქართველი შაჩოხიანები: ვახტანგ კოტეტიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა და ალექსანდრე აბაშელი.**

დგანან შავ-შავ ჩოხებში მძიმედ გამოწყობილი,
ოთხი დიდი კაი ყმა, ოთხი მკვიდრი ძმობილი.

თითქოს ახლა იმღერეს „შავლეგო“ და „ჩაკრულო“,
მედგრად, ჩვენო სამშობლოვ,
ქრისტეს ჯვარზე გაკრულო.

ან იქნება სამღერად ახლა ემზადებიან?
ცოტნესა და თევდორეს სვე-ბედს შეჰხარბებიან.

და თუმცა ამ სურათზე ყველაფერი შავია,
ეს სიშავე მომავლის ფერთა ნათესავია.

## ორკესტრის ამბები

პატარა, სულელ ვიოლინოებს
ვიოლონჩელო მფარველობს დიდი,
ის ასაკითაც უფრო დიდია,
ცხოვრების მცოდნეც და უფრო მშვიდი.

და ერთიც: იგი თავის სიცოცხლეს
ატარებს ქალის ნაზ ფეხებს შორის,
მყნოსავი ნატიფ სურნელებათა
და არა რაღაც ოფლის და შმორის.

ერთი შეხედვით, არცა ჩანს მისი
ვიოლოებთან ურთიერთობა,
ძალიან მოსწონს, რომ ეს ასეა
და ალბათ ამით კიდეც ერთობა...

ხან დიდ ავტორს რომ არც უფიქრია,
„ჩელომ“ რომ რამე უთხრას პატარებს,
იგი შეფარვით და იდუმალად
აქ თავის სათქმელს გამოატარებს...

და ვინმეს თავში თუ მოუვიდა
და ორკესტრიდან გარიცხა „ჩელო“,
ობლად დარჩენილ ვიოლინოებს
ცრემლს ვერ შეუშრობ, ქვეყანავ მთელო.

## მეცხრამეტე საუკუნე

მეეტლემ შოლტი მოხდენილად გაატკაცუნა
და ორივ ცხენი ერთ ადგილას უცებ გაქვავდა.
ლამაზმა ქალმა შეარხია იმ ეტლში ხელი
და სახელოზე ია-ვარდი უცებ აყვავდა.

ეტლთან მიიჭრა ქალის სატრფო საცრისთვალება
და მანდილოსანს შეაგება ერთგული ხელი,
ქალი კოპწიად ჩამოვიდა ეტლის კიბეზე
მისმა სიტურფემ გაანათა საღამო ბნელი...

* * *

თონესთან ქალმა შოთი პური იყიდა ორი
და იქვე დახლთან წაატეხა ერთ მათგანს ყუა.
ნეტავი ქვეყნად აურაცხელ საჭმელთა შორის
იმ თბილ ყუაზე გემრიელი რაიმე თუა...

## გიორგი გაჩეჩილაძეს

საქართველოს პირველი პრეზიდენტის მრჩეველს
ეროვნებათა ურთიერთობის საკითხებში

„რომ ვიდგე ცა-ქვეყნის შუა
ქედმოუდრეკელ სვეტადა“
ვაჟა-ფშაველა

ჯიკავ-ჯიკავში, ჯაჯგურში
ჭგლეთაში სული მიმქონდა,
მივდევდი ფრიალს დროშისას,
მივდევდი დროშის მიმყოლთა.

სახესთან ავად წუოდნენ
მსხვილი თუ წვრილი ტყვიები
მეღიმებოდა: „მოჰქრიან
ჩემკენ ფერადი იები“.

ვხარობდი, არა მქონია
რამე სუსტი და „ქალური“
ვიყავი, ვარ და ვიქნები
„კაცური“, ვერტიკალური.

## თაიგულში

თაიგულის ყვავილმა შეიყვარა მეორე,
მეორემ კი მაშინვე, შეიყვარა პირველი
და ეს გრძნობა ლამაზი, ლტოლვა ერთმანეთისკენ
ფერის ფერს მიმატება, იყო გასაკვირველი.

უხაროდა ორივეს სუნთქვა ერთმანეთისა,
თრთოდნენ გაუთავებლად ერთმანეთის შეხებით,
ასე დიდ საწნახელში ქალ-ვაჟს ვნება ათრთოლებს
ერთდროულად ერთმანეთს თუ შეეხნენ ფეხებით.

თაიგული ლარნაკში იდგა, სურნელს აფრქვევდა,
საოცარი სურნელი იყო აქ მოტანილი
და ციური სურნელის მიწიერი მიზეზი,
მიზეზიც და მიზანიც, იყო ორი ყვავილი...

## კლასიკოსი მწერლის ქვრივი

კლასიკოსი მწერლის ქვრივი,
როგორ საყვარელია,
თითქოს ძვირფას ძველ ქსოვილზე
ტურფა ნაყშთა მთვლელია.

დღისით მარცვლავს კრიალოსნებს
ფერადებს და მბრწყინავებს,
ხოლო ღამით უცხო ჩიტებს
თავისთან აბინავებს...

ერთგულად დგას ცივ ბაქანზე,
ელის თეთრ მატარებელს,
მისი ნაზი ჩუმი გულის
კვლავ და კვლავ გამხარებელს.

ზოგს ჰგონია ამაოა
თეთრ ვაგონთა ლოდინი
და ბაქანიც ობოლია,
როგორც ქვრივის ლოგინი.

აბა, მაშინ სად ქრებიან
ქვრივის თაიგულები
და იდუმლად რატომ ძგერენ
ბრძენ მკითხველთა გულები?

## ორნი

ორნი ციცქნა დივანზე ერთურთს ეფერებიან,
ცალ-ცალკე კი ამ ფართზე ერთიც ვერ დაეტევა,
ახლა სასიყვარულო აქ სასტიკი ომია,
განწირული დაცვა და ულმობელი შეტევა.

აქ ორივე ლაღია და ორივე დაღლილი,
ორივე ფრთებშესხმული და ორივე გვემული.
უცქერიან ერთმანეთს მზერით ყოვლისმხედავით
ორნივ დამარცხებული, ორნივ გამარჯვებული...

## ჩემი სიზმრების სტუმრები

ჩემი ბავშვობის დროინდელი ნაზი ქალები
მათი ფრიალა და მსუბუქი კრეპდიშინებით,
დაუკითხავად შემოდიან ახლაც სიზმრებში
მარაოების შერხევითა და გაცინებით.

და, როგორც მაშინ, დაყვავებით მეფერებიან,
მჩუქნიან ნაყინს და დედობრივ სურნელში
მხვევენ,
მერე კი წავლენ სადღაც შორეთს,
თუ მაღლა – ცაში
და უხილავი რაღაც ძალით მეც იქით მწევენ.

ჰოი, სურნელით მათრობელა კრეპდიშინებო,
სიზმრები თქვენით იყო სავსე პატარა ბიჭის,
უერთდებოდით წიგნებიდან გადმოსულ ფერებს,
ვით ღამის ნისლი და ვით სუნთქვა ციური ნიჭის.

* * *

ვით ელო ძალოს
ფეხადგმული
ნემსის ბადიში
გაცუნცულდება
საყვარელი
ზღარბი პაწია,
ბნელს შეერევა,
თან წაიღებს
ამ გულის ოხვრებს
არავინ იცის,
რა გვითხრა და
საით გასწია...



**გურამ პეტრიაშვილი**

## პოლონეთში ქართული საკვირაო სკოლა გაიხსნა



**პოლონეთში, საქართველოს საელჩოში ფუნქციონირება დაიწყო ქართულმა საკვირაო სკოლამ. სკოლის წარმომადგენლებმა საზეიმო შეხვედრა გამართეს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. შეხვედრაზე განხილულ იქნა სწავლის პროგრამა და სასწავლო გეგმა. პირველი გაკვეთილი მიეძღვნა ქართული ანბანის წარმოშობის ისტორიას და საქართველოს კუთხეების გაცნობას.**

სასწავლო პროცესში ამ ეტაპზე ჩართულია 10 - 15 ბავშვი,მათ შორის, ადგილობრივი მაცხოვრებლები და დიპლომატიური სამსახურის წარმომადგენელთა ოჯახის წევრები.სასწავლო პროცესს უხელმძღვანელებს ვარშავის ეროვნული მუზეუმის თანამშრომელი ლანა ბუკრაძე. საკვირაო სკოლის ფარგლებში გაკვეთილები ჩატარდება კვირაში ერთხელ.

## სარა ებოტმა ქართველ მეღვინეებს ინგლისის ბაზარზე დამკვიდრების მიზნით კონსულტაციები გაუწია



**ღვინის მაგისტრი დიდი ბრიტანეთიდან სარა ებოტი ქართული ღვინის კომპანიების წარმომადგენლებს ღვინის ეროვნული სააგენტოს მუზეუმში შეხვდა და დიდ ბრიტანეთში ღვინის საფასო პოლიტიკა, გაყიდვების ახალი სტრატეგია და მარკეტინგთან დაკავშირებული საკითხები გააცნო, რაც ქართული ღვინის ამ ბაზარზე ხელმისაწვდომობასა და დამკვიდრებას შეუწყობს ხელს.**

შეხვედრაზე ბრიტანელმა პროფესიონალმა დიდი და მცირე მარნების წარმომადგენლებს 2018 წელს ინგლისის ბაზარზე დაგეგმილი კონკრეტული ღონისძიებები გააცნო და მოისმინა მათი მოსაზრებები.

**სარა ებოტის შეფასებით, ბრიტანეთში ქართულ ღვინოზე ინტერესი მზარდია. მისი თქმით, მიმდინარე წელს დიდ ბრიტანეთში ჩატარდება ქართული ღვინის ტრენინგპროგრამები, რათა ღვინით მოვაჭრეებმა მიიღონ ინფორმაცია ქართული ღვინის მრავალფეროვნებასა და ხასიათზე.**

## „6 მაისის პარკად“ წოდებულ პარკს „ბათუმის ცენტრალური პარკის“ სახელი მიენიჭა



**შესაბამისი გადაწყვეტილება ბათუმის საკრებულომ უკვე მიიღო. „ბათუმის ცენტრალური პარკი“ იყო ბათუმის პირველი საქალაქო ბაღი, რომლის მშენებლობა 1881 წელს დაიწყო. მისი გაშენიანების იდეა ეკუთვნის ბათუმის ოლქის მაშინდელ სამხედრო გუბერნატორს გენერალ-მაიორ ა.ი. სმეკალოვს. ადგილად „ნური გელის“ ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირო შეირჩა.**

საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ იმავე წელს ბაღის მშენებლობის გეგმა დაამტკიცა კავკასიის მთავარმა ნაცვალმა. მშენებლობა დაევალა პრუსიელ მებაღეს რესლერს, რომელსაც გაუფორმდა ხელშეკრულება 10 წლის ვადით. პირველი ხუთი წლის მანძილზე მებაღე რესლერს ევალებოდა „გაეჭრა“ ბაღი დამტკიცებული გეგმით, რომლის მიხედვითაც ბაღი შედგებოდა ორი ნაწილისაგან: პარკისა და ბაღისაგან. აგრეთვე გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ეკიპაჟებისა და ქვეითად მოსიარულეთა ბილიკები. რესლერს ბაღში უნდა დაერგო 1,2,5 და 10-წლიანი ბუჩქოვანი მცენარეები, წიწვოვანი და დეკორატიული ხეები, კიპარისები. ყურადღება უნდა მიექცია მათი ზრდა-განვითარებისთვის. რესლერს ეხმარებოდა მისი თანამემამულე მებაღე რეიერი.

## ოლიმპიური მოზაიკა

# ჩვენი დღეც გათენდა!..

**გუშინ პიონჩანში დილიდანვე მშვენიერი ამინდი იდგა და ზამთრის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებს საშუალება მიეცათ განეახლებინათ შეჯიბრებები სამთო თხილამურობაში.**

12 თებერვლიდან გადადებული ქალთა გიგანტური სლალომის სტარტზე 79 სპორტსმენი დადგა, ფინიშის ხაზის გადაკვეთა კი 71-მა შეძლო. მათ შორის იყო



24 წლის ნინო წიკლაური, რომელსაც პირველი დაშვების შემდეგ 51-ე პოზიცია ეკავა (1:20.02), ხოლო მეორე ცდაზე დისტანციის გასავლელად 1:16.91 წუთი დასჭირდა. ჯამში ჩვენს მოთხილამურეს 2:36.93 წუთი დაუგროვდა, რაც საკმარისი აღმოჩნდა საბოლოო ცხრილში 46-ე ადგილის დასაკავებლად.

ნინო ოლიმპიურ თამაშებზე მესამედ გამოდის, აქამდე კი გიგანტურ სლალომში მისი საუკეთესო შედეგი 2014 წელს სოჭში მოპოვებული 49-ე ადგილი იყო. ასე რომ, ჩვენმა სპორტსმენმა სამი საფეხურით წინ წაიწია.




**„კორეული ოლიმპიადისთვის კარგად მოვემზადე და მქონდა შანსი, გიგანტურ სლალომში უკეთესი შედეგი მეჩვენებინა. ტრასა უფრო რთული მეგონა და ამიტომაც პირველ ცდაზე ზედმეტად ვფრთხილობდი. მეორე დაშვებისთვის სამი წამით ნაკლები დრო დამჭირდა, თუმცა, 40 საუკეთესოში შესვლა მაინც ვერ შევძელი. ვეცდები, ხვალ სლალომში უკეთ გამოვიდე და უფრო მაღალი ადგილი დავიკავო, თუმცა, ისეთი მეტოქეები მყავს, ამის გაკეთება ადვილი არ იქნება“,** — განაცხადა ნინო წიკლაურმა.

გიგანტურ სლალომში, როგორც მოსალოდნელი იყო, ოლიმპიური ჩემპიონი სპორტული სეზონის ლიდერი, ამერიკელი მიქაელა შიფრინი გახდა(2:20.02), ვერცხლის მედალი ნორვეგიელმა რეი-ჰილდ მოვინკელმა მიიღო (2:20.41), ბრინჯაოსი — იტალიელმა ფედერიკა ბრინიონემ (2:20.41).

* * *

მოციგავე გიორგი სოლოიანისა და მოთხილამურე ნინო წიკლაურის შემდეგ პიონჩანის ოლიმპიურ თამაშებში ფიგურული მოციგურავე მორის ყვითელაშვილიც ჩაება და მოკლე პროგრამიდან თავისუფალ პროგრამაში გამსვლელ ჯგუფშიც მოხვდა.

ყვითელაშვილმა სადებიუტო ოლიმპიადაზე მოკლე პროგრამაში 76,56 ქულა მოაგროვა და 30 მონაწილეს შორის 22-ე ადგილზე გავიდა.

საუკეთესო შედეგი იაპონელმა იუძ-



ურუ ჰანიუმ აჩვენა — 111,68 ქულა, მეორე და მესამე ადგილებს კი ესპანელი ხავიერ ფერნანდესი (107,58) და კიდევ ერთი იაპონელი — შომა უნო (104,17) იკავებენ.

თავისუფალი პროგრამა დღეს დილით თბილისის დროით 05:30 საათზე დაიწყება და ყინულზე 24 ფიგურისტი გამოვა.

**კობა კობახიძე**

## ადამიანი დროში

# უბერებელი კოტო(რ)ფოტო

**დიდმა სამამულო ომმა მილიონთა სიცოცხლე კი შეიწირა, მაგრამ ხომ გსმენიათ — ბუნებაში უკვალოდ არაფერი ქრებაო.**

ჰოდა, აღნიშნული ცხოვრებისეული კანონზომიერების შესაბამისად, წასულთა ნაცვლად სამშობლოს დემოგრაფიული ბალანსი ბუნებრივი ნამატით შეივსო.

მოკლედ, იმ ქარცეცხლიანი 1943 წლის 18 თებერვალს ახმეტის რაიონის სოფელ ახშენში, გიორგი კოტორაშვილის ოჯახში, დაიბადა ვაჟი, რომელსაც წილად ხვდა პატივი, ქართული სპორტის ფოტომატიანე შეექმნა.

ფასი „კოტორა“ სწორედ ასეთად წარმოგვიდგენია ყველას, ვინც მისი თითოეული შედევრის ფასი ვიცით.

უამრავი ფოტოკონკურსის გამარჯვებულს, მართალია, ნაცსექტამ მუზეუმის სადარი ლაბორატორიის სახით თბილი ბუდე მოუშალა გამომცემლობა „სამშობლოში“, მაგრამ ამ სულით უტეხ პიროვნებას აქტიური შემოქმედებითი ცხოვრება ერთი წამითაც არ შეუწყვეტია და მისი ნიჭის დამფასებელთა, განსაკუთრებით — საჭიდაო სამყაროს ძალისხმევით, ისევ სპორტულ მოვლენათა ეპიცენტრში ტრიალებს.




ბატონი **ალექსანდრე კოტორაშვილის** სახელი უკვდავყოფილია ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედებით, რომელმაც უამრავი ისტორიული კადრი მოიცვა.

სათქმელად ადვილია — რა უნდა სურათის გადაღებას, ერთს ჩააჩხაკუნებ და მზადააო, მაგრამ რამდენი ნიუანსია გასათვალისწინებელი, ეს მხოლოდ პროფესიონალმა ხელოვანმა უწყის. ძვირფასი „კოტორა“ სწორედ ასეთად წარმოგვიდგენია ყველას, ვინც მისი თითოეული შედევრის ფასი ვიცით.

საამაყო რეპორტიორისთვის ერთგვარ დოპინგს წარმოადგენს მისი მყუდრო ოჯახი, მეტადრე შვილიშვილები, რუდუნებით „პაპაი ოქროებად“ რომ მოიხსენიებს. დარწმუნებული ვართ, 75 წლის „ჭაბუკი“ კვლავაც ბევრჯერ ჩააჩხაკუნებს თანამემამულეთა წარმატებების აღსანიშნავად.

მრავალჟამიერ, ბატონო სანდრო!

**გია პლატონიშვილი**

## ფეხბურთი




# ასენსიო 700 მილიონად ფასობს

**მადრიდის „რეალმა“ მარკო ასენსიოს საარაკო ფასი დაადო. „სამეფო კლუბის“ პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი 22 წლის ფეხბურთელის გაყიდვას არ აპირებს და ,როგორც ჩანს, თანხა, რომელიც დაასახელა, აქედან გამომდინარეობდა.**

„გსურთ ასენსიო? — 700 მილიონი ევრო ღირს“, — ციტირებს Mundo Deportivo კასტილიელთა ბოსის სიტყვებს.

აღსანიშნავია, რომ ზაფხულში ასენსიოს ინგლისური გუნდები იწვევდნენ, მაგრამ „რეალმა“ მათ მიერ შეთავაზებულ 150 მილიონზე უარი თქვა. მიმდინარე სეზონში ახალგაზრდა ესპანელმა 32 თამაშში 8 გოლის გატანა მოახერხა.

**გიორგი შოთაძე**

## კალათბურთი

# უსწრაფესი სამმაგი

**გუშინ „მილუოკი“ შინ „დენვერთან“ 123:134 დამარცხდა, ნიკოლა იოკიჩი კი ნბა-ს ისტორიაში ყველაზე სწრაფი სამმაგი დუბლის ავტორი გახდა. მან 16 წუთში 16 ქულა, 12 პასი და 11 მოხსნა მიითვალა, ხოლო წინა რეკორდი ჯიმ ტაკერს ეკუთვნოდა (1995 წელი), რომელმაც სამმაგი დუბლი 17 წუთში შეასრულა.**

ბალკანელმა შეხვედრა 30 ქულით, 17 პასით, 15 მოხსნით და 2 ბლოკ-შოტით დაასრულა, რაც საოცარი შედეგია. ნიკოლამ მიმდინარე სეზონში მეხუთე, ხოლო კარიერაში მე-11 სამმაგი დუბლი „გამოაცხო“.

**ვიტალი ჯაფარიძე**



ტრაგედია ცაში

# უიღბლო ავიარეისი

**პოდმოსკოვიეს რამენსკის რაიონის მიწაზე 11 თებერვალს დანარცხებული სამგზავრო AH-148-ს ტრაგედიას, რომელიც მოსკოვიდან ორსკში მიფრინავდა, 71 კაცის სიცოცხლე შეეწირა. რუსეთის საგანგებო ვითარებათა სამინისტროს მონაცემებით, თვითმფრინავის ნამსხვრევები 30 ჰექტარზე გაიფანტა, დაცემის ადგილას კი ორ-ნახევარი მეტრის სიღრმის ორმო გაჩნდა.**

დაღუპულთა შორის უხუცესი 79 წლის რუსეთის დამსახურებული მფრინავი ბორის კარმალეევი იყო, ყველაზე პატარა კი — 5 წლის ნადენკა, რომელიც დედასთან ოქსანასთან ერთად მგზავრობდა. კონსალტინგური კომპანიის გენე-



თვითმფრინავი AH-148 გაფრენამდე



ავიაკატასტროფის ადგილზე ნაპოვნი შავი ყუთი

რალურ დირექტორს ალექსი ნიკიტჩენკოს კი ათი წლის წინათ მამა ასევე ავიაკატასტროფაში დაეღუპა. თითქმის ერთიანად ამოწყდა ორსკელი ანოხინების ოჯახი — ცოლ-ქმარი ვიქტორი და ზოია მოსკოვში შვილიშვილის ქორწილიდან ბრუნდებოდნენ ქალიშვილთან და სიძესთან ერთად. სოჭელი მაქსიმ კოლომეიცევმა კი თავის დაბადების დღეს — 11 თებერვალს, მოსკოვი-ორსკის თვითმფრინავით ბედად არ იმგზავრა, რადგან ამ დღის აღნიშვნას ორსკში მშობლებთან გეგმავდა, თან მათი ნაჩუქარი ახალი ავტომანქანის ავტოსალონიდან წამოყვანას აპირებდა. მაგრამ მაღაზიიდან დაურეკეს და უთხრეს — თქვენი მანქანის ჩამოყვანა ერთი კვირით დაგვიანდება და მხოლოდ 18 თებერვალს მივიღებთო. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ სოჭიდან მოსკოვში, იქიდან კი ორსკში თვითმფრინავის ბილეთები ამ ჭეშმარიტად „იღბლის თაიგულმა“ კაცმა გადაავადა: მისი თქმით, რამდენიმე წლის წინათ მას ორენბურგი-ორსკის სამარშრუტო ტაქსზე დააგვიანდა, რომელიც გზად ავარიაში მოჰყვა და მასში მსხდომი ყველა მგზავრი დაიღუპა(!)

ტრაგედიის გამომწვევი მიზეზი ჯერჯერობით დადგენილი არ არის, თუმცა კი რამდენიმე ვერსია უკვე გამოითქვა, რომელიც სხვადასხვა სახის ტექნიკურ პრობლემას ეხება, ტერორისტული აქტის ალბათობასაც არ გამორიცხავენ, თუმცა კი ნაკლებად სავარაუდოდ მიიჩნევენ.

ამასობაში რუსულ მასმედიაში დიდი მითქმამოთქმაა, რომ დაღუპული თვითმფრინავი ქვეყნის მთავარი „პრიხვატიზატორის“, წითური ანატოლი ჩუბაისის ყოფილი მრჩევლის, ავიაკომპანია „სარატოვის ავიახაზების“ მფლობელის არკადი ევსტაფიევის კუთვნილება იყო. იგი 1996 წელს იმით გახდა ცნობილი, რომ ის და სერგეი ლისოვსკი უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა მოსკოვში მთავრობის სახლიდან გამოსვლისას დააკავეს: ამ ორ კაცს ფეხსაცმლის ყუთით 538 ათასი დოლარი გამოჰქონდა, რომლებიც ოლიგარქებმა ბორის ელცინის წინასაარჩევნო კომპანიისთვის შეაგროვეს. იმ ხანებში ა. ევსტაფიევი ჩუბაისის პრეს-მდივანი იყო. მას შემდეგ ის ოთხი სისხლის სამართლის საქმის ფიგურანტი გახლდათ, თუმცა არც ერთში მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი არ დამდგარა.

„სარატოვის ავიახაზები“ კი დიდ სკანდალში 2015 წელსაც აღმოჩნდა, როცა სარატოვიდან თურქეთში, ანტალიაში თვითმფრინავის „ემბრაერ-190“-ით, მფრინავების კაბინაში კომპანიის გენერალური დირექტორის ქალიშვილი, 22 წლის ი. ტრეტიაკოვი ყოველგვარი საბუთების გარეშე სამსახურებრივ მგზავრად იყო რეგისტრირებული!

ეს ინციდენტი კომპანიისთვის უცხოეთში ავიარეისების შესრულების ლიცენზიის გაუქმებით დასრულდა.

**დალი ხუნდაძე**

## სანთელი

**საქართველოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური, თბილისის ვეტერანთა საქალაქო და რაიონული კავშირები ღრმა მწუხარებით იუწყებიან სამხედრო ძალების დამსახურებული ვეტერანის, თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკის, მთაწმინდის მუნიციპალიტეტის ვეტერანთა რაიონული კავშირის თავმჯდომარის**



**ავთანდილ ჭელიძის**

**გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს, ახლობლებსა და მეგობრებს.**

სულიერება

# ყველიერის, მიტევების კვირიაკე



**18 თებერვალს მიტევების, ანუ ყველიერის კვირიაკეს შემდეგ იწყება დიდმარხვა.**

შენდობის დღეს ჩვენ, ქრისტიანები გამოვითხოვთ პატიებას, მიტევებას არა მხოლოდ ნაცნობებისგან, არამედ უცხო ადამიანებისგანაც.

ხშირად კამათობენ იმაზე, თუ რატომ უნდა ვითხოვოთ შენდობა უცნობისგან, როცა მის წინაშე არაფერი დაგვიშავებია. ყოველი ადამიანი, შემცოდე ღვთისა და კაცის წინაშე, თავისი არასწორი, არაეკლესიური ცხოვრების მიზეზით ხელს უწყობს ქვეყანაზე ცოდვის გამრავლებას, რაც ადამიანის ფსიქიკაზე, მის ზნეობრივ და სარწმუნოებრივ ცხოვრებაზე მოქმედებს.

ამიტომ უნდა ვთხოვოთ მოყვასს შენდობა, რადგან ჩვენი მიზეზით სამყაროში შეცოდება ხდება. ეს მოყვასზე, ხილულად თუ უხილავად, რასაკვირველია, მოქმედებს.

საგულისხმოა ისიც, რომ ჩვენთვის — ქრისტიანებისთვის წინგადადგმული ნაბიჯია ის, რომ შენდობა ვითხოვოთ... შემდეგ, როცა სარწმუნოებაში გავძლიერდებით, გულწრფელობაც მოგვეცემა.

**გიული ლიპარტია**

# ფარცხალაძე-თორდიას დაპირისპირება და აუდიტის საბოლოო დასკვნა

**აუდიტის სამსახურის დაკვნა, რომელიც გამოქვეყნდა და რომელიც თბილისის მერიის 2015-2016 წლების საქმიანობის პერიოდს უკავშირდება, ის დასკვნაა, რომელიც ოთარ ფარცხალაძის და მაშინდელი გენერალური აუდიტორის ლაშა თორდიას დაპირისპირებას უკავშირდება. თორდიამ ეს ინფორმაცია „პირველ რადიოს“ თავად დაუდასტურა. როგორც მან ჩვენთან საუბარში განაცხადა, დღეს დადასტურდა, რომ მასზე თავდასხმა ფარცხალაძის მხრიდან, იმ შემოწმებას უკავშირდებოდა, რომელიც აუდიტის სამსახურმა მერიაში ჩაატარა. ლაშა თორდია ამბობს, რომ შუალედური შემოწმების მასალები აუდიტმა პროკურატურაში უკვე გადაგზავნა და საბოლოო დასკვნაც სწორედ საგამოძიებო უწყებაში უნდა გადაიგზავნოს. კითხვაზე, ვისი პასუხისმგებლობის საკითხი დგება ასეთ შემთხვევაში, თორდია ამბობს, რომ პირველ რიგში, ქალაქ თბილისის მერიის ქონების მართვის სამსახურის უფროსის...**



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშში, რომელიც მერიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვასა და განკარგვას შეეხება, ყოფილი მთავარი პროკურორის ოთარ ფარცხალაძის კომპანიისთვის მიწის გადაცემის საკითხი მოხვდა. ანგარიშის მიხედვით, კონკრეტულ აუქციონში მონაწილეობა მხოლოდ „ბი ეს არ - სი დი ჯი დეველოპმენტმა“ მიიღო.აუდიტის სამსახურის ანგარიშში ნათქვამია, რომ მერიამ ამით შემოსავალი დაკარგა.



# პარიზში ქართველი კრიმინალები დააკავეს

**შინაგან საქმეთა სამინისტროში საქართველოს პოლიციის მიერ ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად გახსნილი ბოლო დროს მომხდარი საქმეების შესახებ ბრიფინგი გაიმართა. სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ფრანგ კოლეგებთან ერთად საქართველოს მოქალაქეები, საფრანგეთში მოქმედი კრიმინალური დაჯგუფების 8 წევრი საფრანგეთის დედაქალაქში დააკავეს. დაკავებულებს კრიმინალური დაჯგუფების წევრობა, ჯგუფურად ჩადენილი ქურდობა და ნაქურდალი ნივთების შენახვა ედებათ ბრალად.**

უწყების ინფორმაციით ქართველი და ფრანგი სამართალდამცველების მიერ ჩატარებული გამოძიებით ირკვევა, რომ გასული წლის მარტიდან დღემდე, დანაშაულებრივი დაჯგუფების ქართველმა წევრებმა საფრანგეთში ქურდობა მრავალჯერ ჩაიდინეს. პოლიციამ დაკავებულების საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას მობილური ტელეფონები, პორტატიული კომპიუტერები, ოქროს ნივთები, სხვადასხვა დასახელების ნარკოტიკული საშუალება, ქართული და ფრანგული საბანკო ბარათები და ფული ნივთმტკიცებად ამოიღეს. გამოძიებით დადგინდა, რომ ჯგუფის წევრებს კავშირი ჰქონდათ 2017 წლის ნოემბერში პარიზში დაკავებულ ქართველ ე.წ. „კანონიერ ქურდებთან“. აღნიშნული დაჯგუფების მიერ მოპარული ნივთების გაყიდვის შედეგად მიღებული თანხის ნაწილით ე.წ. „ქურდული საერთო“ ივსებოდა. გამოძიება საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით მიმდინარეობს.

# თბილისში მეგატექნიკის მაღაზია გაქურდეს

**თბილისში მეგატექნიკის მაღაზია გაქურდეს. მაღაზიის ხელმძღვანელების ინფორმაციით, ზარალი 20 ათას ლარს აჭარბებს. მაღაზიიდან წაღებულია 30 მობილური ტელეფონი, კომპიუტერული ტექნიკა და 5 ათასი ლარი. ისინი ვარაუდობენ, რომ დანაშაული არასრულწლოვნებმა ჩაიდინეს.**



გუშინვე გავრცელდა სათვალთვალო კამერით დაფიქსირებული კადრები, სადაც ჩანს, როგორ შედიან, სავარაუდოდ, არასრულწლოვნები მაღაზიის გასაქურდად.

მაღაზიის თანამშრომლების თქმით ეს პირველი შემთხვევა არ არის.




# რუსებს ისევ „ვუყვარვართ"...

**სანკტ-პეტერბურგის ცენტრში უჩვეულო ავტოსაგზაო ნიშნები გამოჩნდა. მათზე საქართველოსადმი სიყვარულია გამოხატული და ნაჩვენებია მანძილი რუსთაველის სამშობლომდე.**

ერთ-ერთ ასეთ საგზაო ნიშანზე ხაჭაპურია გამოსახული, მეორე გვიჩვენებს, რომ საქართველომდე 2637 კმ-ია.

„მადლობას ვუხდი სანკტ-პეტერბურგის გუბერნატორ გიორგი პოლტავჩენკოს იმ სიყვარულისთვის, რომელსაც მისი მხრიდან მუდმივად გრძნობს ჩვენი დიასპორა, — აღნიშნა „რუსეთში ფედერალური ქართული ეროვნულ-კულტურული ავტონომიის" პრეზიდენტმა გიორგი წურწუმიამ. — ჩვენი ერთმორწმუნე ხალხები ისტორიულად ერთად იყვნენ და სიყვარულის ეს სიმბოლური ნიშნები ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის დასტურია".

საგზაო ნიშნები ქართული კულტურის დიდი ორდღიანი ფესტივალის — „გრუზია PLAY"-ს წინა დღეებში აღიმართა, რომელიც 17-18 თებერვალს „ARTPLAY"-შია დაგეგმილი. ფესტივალში ჯგუფი „მგზავრები", მომღერალი ნინო ქათამაძე და სხვები მიიღებენ მონაწილეობას.

ღონისძიების დასრულების შემდეგ საგზაო ნიშნებს აიღებენ.

# გასაცინებელი ა(მ)ბები

## საბაბი

**დედა** ქალიშვილს ტუქსავს და ის ცრემლებაღვარღვარებული ეუბნება:

— დედა, ნუ მეჩხუბები, მე ძალიან კარგი შვილი გყავარ.

— ვითომ რატომ?

— იმიტომ, რომ ვერც ერთი შინამოსამსახურე ერთ თვესაც ძლივს გიძლებს, მე კი უკვე 11 წელიწადია შენთან ვარ!

## ანგარიში

**უძილობისგან** გატანჯული მოკრივე ექიმს მიმართავს რჩევისთვის:

— მე შემიძლია ერთი ნაცადი ხერხი შემოგთავაზოთ, დასაძინებლად დაწოლილმა გულში ოცამდე დათვალეთ და დამიჯერეთ, აუცილებლად ჩაგეძინებათ.

— სამწუხაროდ, ეგ ხერხი ვცადე და არ მიშველა, რადგან როცა თვლა დავიწყე და „ცხრა" ვთქვი, ეგრევე წამოვხტი.

## ჭკუათხელთა წიგნი

**ერთი** ძველი მეფის კარზე მავანი ხნიერი ტაკიმასხარა ცხოვრობდა, რომელიც იმით ერთობოდა, ჭკუათხელთა წიგნს ადგენდა, სადაც იმათი სახელები შეჰქონდა, ვინც მისი აზრით სისულელეს რასმე ჩაიდენდა.

ერთხელაც, მეფეს უცხოქვეყნელი სოვდაგარი ეწვია. მეფემ ბრძანა, არაბეთში საუკეთესო ბედაურების შესაძენად იმისთვის დიდძალი თანხა გადაეხადათ. ოდეს სოვდაგარმა ოქრო-ვერცხლაკიდებული დატოვა მეფის სასახლე, მეფემ ტაკიმასხარის ჭკუათხელთა წიგნში ჩაიხედა და თავისი სახელი ამოიკითხა.

— შენს სულელურ წიგნში ჩემი სახელი რატომ შეიტანე? — გაბრაზებულმა ჰკითხა ტაკიმასხარას.

— მეფე ბატონო, სხვაგვარად არ შემეძლო, რადგან ბრძენი კი ბრძანდებით, მაგრამ იმ უცხო კაცისთვის იმდენი ოქრო-ვერცხლი არ უნდა მიგეცა, სხვა გზა არა გაქვს, დაკარგულად ჩათვალე.

— თუ სოვდაგარმა ბედაურები მართლა შემიძინა, მაშინ რაღას იტყვი?

— მაშინ შენს სახელს წავშლი და ჩემს ჭკუათხელთა წიგნში იმის სახელს ჩავწერ.

## ერთი პირობით

**ზოომაღაზიაში** მყიდველმა მოლაპარაკე თუთიყუში შეარჩია.

— ერთი პირობით ვყიდულობ: გარანტია უნდა მომცეთ, რომ არ იტყვის, რა ფასად ვიძენ, მეგობარს საჩუქრად უნდა მივართვა.

# „მეორადი მოხმარების" ალკოჰოლი...

**ამერიკულ ლას-ვეგასში გამართულ ელექტრონულ მოწყობილობათა გამოფენაზე სამხრეთკორეულმა კომპანიამ რობოტი-პორტიე და რობოტი-ოფიციანტი წარადგინა.**



პირველი მათგანი სტუმარს სასტუმროში მოწყობა-გაწერაში, ასევე ნომრამდე ბარგის მიტანაში დაეხმარება, მეორე კი სასმელებს დამკვეთამდე მიიტანს.

მათთვის კი, ვინც სმას შინ ამჯობინებს, სამხრეთ კორეაში თანამეინახე რობოტი სახელად „დრინქი" გამოიგონეს. მას ჭიქის აწევა და მოჭახუნება, ასევე დაუთრობლად უამრავი ალკოჰოლის დალევა შეუძლია, თანაც სულ იხვეწება — სასმისი შემივსე, შემივსეო, ხოლო ყოველი ულაფის შემდეგ ლოყები ეფაკლება. „დრინქი" თითქმის იდეალური თანამეინახეა თუნდაც იმიტომ, რომ მის მიერ „დალეული" ალკოჰოლი... ქილაში ხვდება, რომელიც კუჭის როლს ასრულებს, ამიტომ მისი „ხელმეორედ გამოყენება" შეიძლება.

# რისგან თავბრუსხვევა?

**თავბრუსხვევა, ანდა თავში სიმსუბუქის გრძნობა მაშინ, როცა ფეხზე მკვეთრად დგებით, შესაძლოა, თავის ტვინის სისხლით კვების ხარვეზებით იყოს გამოწვეული. აცხადებენ ამერიკის ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის მეცნიერები.**



ამ სიმპტომების მქონე ადამიანებს ხანდაზმულობით გონებასისუსტე 1,4-ჯერ უფრო ხშირად ემართებათ სხვებთან შედარებით, თანაც მათი გონებრივი უნარი 15 პროცენტით უფრო მეტად უარესდება, ვიდრე იმათი, ვისაც ეს სიმპტომები არ აღენიშნება.

# იცით თუ არა, რომ...

• **ადამიანის ემბრიონი სიზმრებს 28-ე კვირიდან მოყოლებული ხედავს?**



• წყლის დალევისას ინდაური ზოგჯერ ტრანსში ვარდება?

• ცეკვაზე სიარული ადამიანს ზუსტი მეცნიერების სწავლაში ეხმარება?

• თანამედროვე რუსეთის მოსახლეობა 230 ენაზე ლაპარაკობს, რომელთაგან 136-ს საფრთხე ემუქრება, 22 კრიტიკულ მდგომარეობაშია (მათ შორის, ალეუტური, ტერსკო-საამური), 29 სერიოზული საფრთხის წინაშე დგას (მათ შორის კარელური, ჩუკოტკური), 49-ს კი გაქრობა ემუქრება (მათ შორის ყალმიყურს, უდმურტულს, იდიშს)?

• ტყუპები უფრო ხშირად დაახლოებით 40 წლის ასაკის ქალებს უჩნდებათ, რის მიზეზი ისაა, რომ ამ ასაკში მატულობს ჰორმონების გამომუშავება, რომლებიც ხელს უწყობს რამდენიმე კვერცხუჯრედის ერთდროულ მომწიფებას?

# თუ რაღაცა გწყენთ...

**ალერგია, შესაძლოა, ადამიანს დროთა განმავლობაში გაუჩნდეს, ამიტომაც ამ დროს საჭიროა კვების რაციონისთვის ყურადღების მიქცევა.**



ყველაზე ალერგიული პროდუქტებია ძროხის რძე, თევზი, ზღვის პროდუქტები, ხიზილალა, კვერცხი, ციტრუსები, ნიგოზი, თაფლი, სოკო, ბაღისა და ტყის მარწყვი, ჟოლო, მაყვალი, შოკოლადი, მოცხარი, ყავა, კაკაო, მდოგვი, პომიდორი. ამიტომ, ალერგოლოგები, პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში მენიუდან კვების ამ პროდუქტების ამოღებას გვირჩევენ და იმის იმედს გვაძლევენ, რომ, ძალიან დიდი ალბათობით, ალერგიის პროვოკატორის მიგნებას შევძლებთ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ ან ყოველდღე იყიდეთ „საქართველოს რესპუბლიკა" და ამით გადაარჩინეთ თქვენი გაზეთი

## უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.4592; ევრო - 3.0691;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4584;
100 რუბლი - 4.3332; თურქული ლირა - 2.4592;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4511;
1000 სომხური დრამი - 5.1063.

## ამინდი 17 თებერვლისთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | 0, | დღე | +14 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -7, | დღე | +12 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +4, | დღე | +17 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -2, | დღე | +15 |
| თბილისი: | ღამე | +5, | დღე | +13 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge